საქართველო

წელიწადი მეხუთე | სამშაბათი, 19 მარიამობისთვე 1919 წ. № 177 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადებები თითოეულ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:— თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73.

დღეს, ორშაბათს, მარიამობისთვის 18-ს სურათების შეცვლა. თბილისის ეკრანებზე პირველად ნაჩვენები იქნება კინო-პოემა 4 ნაწილად

კინო-თეატრი, რუსთაველის პრ.

ხელოვნურად გადმოკეთებულია ჰომიროსის უკვდავ პოემიდან.

ოდისეი

სურათების ჩვენების დროს დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი.

სეანსის დასაწყ. სალ. 6 საათ.

---

18 მარიამობისთვეს, დილით 7 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნინო გაბრიელის ასული ივანიცკისა

რასაც შვილნი მისნი: მღ. აპოლონი, დეკანოზნი ტარასი და ვლადიმერი, ნიკოლოზი და რაფიელი და ქალნი მისნი პელაგია და სოფიო, რძლები და შვილის შვილნი მისნი აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ. წირვა და ანდერძის აგება—ფერის წმ. ნიკოლოზის ტაძარში. დაკრძალვა 20-ს ეკლესიის სასაფლაოზე. პანაშვიდები საღამოობით 7 საათზე. გამოსვენება ცხედრისა, სამიწისმზომელო სასწავლებლის შენობიდან, (გუნიბის ქ., № 46.)

(1—161—1)

მაკა ესტატეს ასული მელიქისა, მელანია ესტატეს ასული სმირნოვისა ქმრებით და შვილებით და ეკატერინე ესტატე ჩერქეზიშვილის ასული მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელი მამისა

თავ. ესტატე გიორგის ძის ჩერქეზიშვილისა

დაკრძალვა მოხდება 19 აგვისტოს მამადავითის ეკლესიის გალავანში გამოსვენება მიცვალებულისა დილის 9 საათზე საკუთარი სახლიდან დავითის შესახვევი № 1.

სოფელ ფარახეთში (რაჭის მაზრა) გარდაიცვალა

ექიმი ვიქტორ ბესარიონის ძე ბაქრაძე

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: დედა ეკატერინე ნიკოლოზის ასული, მეუღლე ვალენტინა კონსტანტინეს ასული, შვილი გიორგი, ძმა მელქისედეკ ბესარიონის ძე, რძალი თამარ რევაზის ასული, დები: ნინა გელოვანისა და ოლღა ბესარიონის ასული და სიძე ირაკლი ლევანის ძე გელოვანი. დაკრძალვა სოფელ ფარახეთში 19 მარიამობისთვეს.

(1—2572—1)

ღრმად დამწუხრებულნი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე და ნუცა ნესტორის ასული იოსელიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი საყვარელი დედის და მეორე ძვირფასი დედამთილის

ნინუცა ლევარსაბ ჭიჭინაძის ასულის

უდროოდ გარდაცვალებას. რომლის დაკრძალვა მოხდება ს. ძეგვში დილით, სამშაბათს, 19 მარიამობისთვეს.

1—2571—1

კნეინა თამარ გიორგის ასული ჭავჭავაძისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 19 მარიამობისთვეს შუადღის 12 ს. ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი თავად

მიხეილ დავითის ძის ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად. 1—2565—1

გამოვიდა და იყიდება

ალ. ასათიანის წიგნი მიწის საკითხი საქართველოში.

1) მიწად-მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადო და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების მიწ. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა.

10—5—10

ბოჩკები

მუხის და წიფლის, გამოსადეგი ღვინისთვის, ძმარისთვის, ზეთისთვის, მწნილეულებისთვის; ნავთისათვის და სხვა. იყიდება შეღავათიან ფასებში მიხეილის ქუჩა № 57.

3—2567—1

კლუბი „უნიონი“

საზაფხულო შენობა. სოლოლაკის ქ. № 13.

უკრავს სიმებიანი ორკესტრი ბ-ნ შლიფერის ხელმძღვანელობით და ბ-ნ კაპელნიცკის მონაწილეობით.

კლუბში შესასვლელი მამაკაცისთვის—20 მ., მანდილოსნებისთვის—10 მ. წევრობისათვის საჭიროა საზოგადოების ორი წევრის რეკომენდაცია.

კლუბის რესტორანში შესასვლელი ფასი: მამაკაცთათვის 10 მ., მანდილოსნთათვის—5 მ. აქ საჭიროა ერთი წევრის თავდებობა.

კლუბში სინემატოგრაფია. სავ. სახლ. Saga და ტივოლის ამხ.

5—2402—2

საჩქაროდ საჭიროა ბუღალტერი

სოფლად (კახეთში) ჯამაგირი 3000 მანეთი თვეში. მსურველნი მიმართონ „კახელ მევენახეთა კავშირს“, რუსთაველის ქ. № 33.

(1 - 2595 - 1)

კვირას, 24 აგვისტოს, ქართულ კლუბში იმართება

სრულიად საქართველოს მწერალთა დღეობა

დაწვრილებით ხუთშაბათს.

1—160—1

ვაჭარ-მრეწველთა დეპუტატების საბჭო იწვევს ხელოსანთა, მრეწველთა და ვაჭართა

საერთო კრებას

სამშაბათს, მარიამობისთვის 19 ს საღამოს 6 საათზე, რუსულ კლუბის საზაფხულო შენობაში.

დღის წესრიგი: 1. სამრეწველო გადასახადი.
2. სანიტარული გადასახადი.
3. საორგანიზაციო საკითხები.

2—2569—2

თბილისის საშუალო პოლიტექნიკური სასწავლებელი

იღებს თხოვნებს ელექტრო-მექანიკურ და საამშენებლო განყოფილებებზე; პირველ განყოფილებაზე შემდეგი სპეციალური დარგები იქნება: სარკინიგზო, მექანიკური და ელექტრო-ტეხნიკური; მეორეზე—გზათა საამშენებლო, სახუროთმოძღვრო და ჰიდრო-ტეხნიკური. სასწავლებელში შესვლისათვის საჭიროა ოთხი კლასის მოწმობა. მისამართი: თბილისი, დიდიმთავრის ქუჩა № 70.

(1—2570—1)

ქალ-ვაჟთა 8 კლასიანი გიმნაზიაში

ი. მ. მაჩაიძისა

(ჩერქეზიშვილის ქ. № 22, შენობა ყოფილ სას- სასწ.).

მისაღები გამოცდები 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 კლ. დანიშნულია ყოველ ორშაბათობით 20 სექტემბრამდე. მოსამზადებელ კლასებში ყმაწვილები მიიღებიან უგამოცდოდ. გიმნაზია სამსახურს უწევს საშუალო განათლების მიღებაში მუშათა კლასს განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა. სწავლა მოზრდილთათვის წარმოებს საღამოობით, მცირეწლოვანთათვის დილით. თხოვნების მიღება ყოველ დღე 9—3 საათამდე.

(2—2593—1)

იყიდება შეშა იყიდება

სხვა და სხვა ჯიშის 100 კუბ. საჟენი, სადგ. „აგჭალა“ დან 18 ვერსის მოშორებით საგურამო—გლდანის სატყეოში დაწყობილი, ფასის შეტყობა შეიძლება სახელმწიფო თეატრის კონტორაში 10 დან 2 საათზე.

4—159—1

ვაჭარ-მრეწველთა დეპუტატების საბჭო იწვევს ხელოსანთა, მრეწველთა და ვაჭართა

საერთო კრებას

სამშაბათს, მარიამობისთვის 19-ს საღამოს 6 ნახევარ საათზე, რუსულ კლუბის საზაფხულო შენობაში. მიხეილის პრ. № 123.

დღის წესრიგი: 1. სამრეწველო გადასახადი. 2. სანიტარული გადასახადი. 3. საორგანიზაციო საკითხები.

(2—2569—1)

ჩვენ ვაგარაკეობთ

ქუდზე კაცის დრო დადგა. დღეს ანთებული პატრიოტიზმი თავდადების ზღვა-ღელვას უნდა აყენებდეს ხალხში. ყველა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა სამშობლოს სახელის გარშემო უნდა თავს იყრიდეს, უძნელესი მსხვერპლის გასაღებად. ვისაც რა შეუძლიან, იმით უნდა შველოდეს საქვეყნო საქმეს. ყველა, თუ თავის თანამდებობაზე, თუ თავის პროფესიაში, ქვეყნის ძალთა დარაზმვას და მის მოწყობას უნდა ემსახურებოდეს. ქვეყანაში უნდა ტრიალებდეს მადლიანი სული, სული შემოქმედი, ამგზნები და ამაფრთოვანებელი, ერის ძალისა და ენერგიის. ცხოველმყოფელი საქმიანობა უნდა ამ თავითვე აწყობდეს და ამზადებდეს ქართველ ხალხს მტრის დასახვედრად, რომელიც სისტემატიურად მოიწევს ერთის მტკიცე გადაწყვეტილებით: დათრგუნოს ჩვენი დამოუკიდებლობა, გაანადგუროს ჩვენი სამშობლო, შეგვირცხვინოს წმიდათა-წმიდა! მთავრობა, ხალხის ბელადი და წინამძღოლი, სული და გული უნდა იყოს ამ საქმიანობის, ამ მუშაობის, ამ აღფრთოვანებით დღე და ღამე უნდა გასწორებული ჰქონდეს. ყველა საშუალება, ყველა გზა და ყველა ღონისძიება უნდა იყოს ნავარაუდევი, გათვალისწინებული და ნახმარი... რადგან მომენტი, რომელიც ეხლა გვიდგას, მეტად რთული და მეტად სახიფათოა. ასი წლის მონობის შემდეგ აღდგენილ საქართველოს, მის დამოუკიდებლობას ემუქრება მტერი, მოელის საფრთხე. ჩვენის რწმენით, ასეთი ყოველ მხრივ მოწყვეტილობა და უპერსპექტივობა საქართველოს არა ჰქონია ამ წლინახევრის განმავლობაში. თამამად აწ განხორციელებულა ოცნება: საქართველოს ხორცშესხმული დამოუკიდებლობა შეიძლება დაგვესამარონ და მასთან ერთად ერის იდეალი, მისი შემოქმედება და სასიცოცხლო ენერგიაც სამუდამოთ გააქრონ, გადაგვიჩანაგონ! მომენტია დიდის ტრაგიზმის. და ასეთ მომენტში, იმას გარდა რასაც ჩვენს გარეშე მოვლენა მექანიკა შეგვაწევს, ერის შეგნება და მეთაურთა გონიერება მიზან-შეწონილ საქმიანობას უნდა აჩქარებდეს, სასწაულს ჰქმნიდეს. ენერგია მთავრობის, მისი საქმიანობა უზენაესად უნდა იყოს გამწვერვალებული, მისი შთაგონება და შემოქმედება—მაქსიმუმამდე აყვანილი. წარსული შეცდომები და დაკარგული დრო უნდა გამოვასწოროთ, ავინაზღაუროთ, და ყველა ამას ხომ არა—ადამიანური გატაცება და არა-ადამიანური ძალა და ხასიათი სჭირდება. ამიტომ ჩვენ არ გვაქვს უფლება ჩვეულებრივ ცხოვრების ქერქში დავრჩეთ, და ნორმალურის ტემპით ვიდოდეთ.

მაგრამ ამ მომდგარ საფრთხესთან ერთად, ჩვენი უბედურება ისაა რომ არც ერი გრძნობს საქართველოს ტრაგედიას და არც მისი მეთაური წრე. ამიტომაც არ არის მაღალი აგზნება, ამიტომაც არ არის მხურვალე გატაცება მუშაობით, საქმიანობით, შემოქმედებით. ჩვეულებრივი ცხოვრება და ფუქსავატობაა, ჩვეულებრივი უდარდელობა და მოწყვეტილობაა.

მინისტრები საგარაკოთ არიან; დამფუძნებელი კრებაც „[illegible] ორგანიზაცია“ [illegible]; ქვეყანაში პარტიული პრესტიჟი უფრო მაღალი, ვიდრე ხელმძღვანელობის და მთავრობის პრესტიჟი. ხალხი მოვალეობის მოხდის გრძნობას გადაჩვეული.

სამშობლოს ცაზე შავი ღრუბლები დაგროვდა და მეხი გავარდნას აპირებს.

მეხთამრიდს ერი და მთავრობა აღარ აშენებს!

გონს მოვიდეთ!

ჯარი

ოფიცერი და ჯარისკაცი—აი ის ორი ელემენტი, რომელიც ჯარს შეადგენს.

თუ გვინდა ჯარის მთლიანობა და სიმტკიცე, სახელმწიფომ ამ ორ ელემენტს თავ-თავისი საჭიროება უნდა დაუკმაყოფილოს და ამავე დროს გაუფრთხილდეს ყურადღებისა და ადამიანურ გრძნობის მხრივ. ამ პირობებში სახელმწიფოს შეუძლიან მათ მკაცრად მოსთხოვოს მუშაობის ასრულება და ყოველგვარი მსხვერპლიც ერისა და სამშობლოსთვის. თქვენ შეგიძლიათ ყაზარმებიც ჯარისკაცებით აავსოთ, ოფიცრებიც ბევრი იყოლიოთ, ერთნაირი დისციპლინაც იქონიოთ, მაგრამ ჯარი მაინც ვერ შექმნათ. რიცხვი და დისციპლინა ჯარს ვერ შექმნის. უმთავრესია, ოფიცრის და ჯარისკაცის მორალი. უამისოდ ჯარის ღირებულებაზე ლაპარაკიც მეტია. ხოლო ეს მორალი, მეტად სათუთი ფაქტორების ზედგავლენით შესდგება ხოლმე და დიდი სიფრთხილე, გულისყური და მონდომებაა საჭირო, მის დასაფუძნებლად. მატერიული უზრუნველყოფა და ფსიხოლოგიური მესაიდუმლობა— აი რა უნდა მიუძღვნას სახელმწიფომ და მთავრობამ ოფიცერსა და ჯარისკაცს რომ შესაძლებელი იყოს კარგი და თავდადებული ჯარის შექმნა. ვაძლევთ ჩვენ ამას ოფიცერსა და ჯარისკაცს? უნდა ითქვას სამწუხაროთ, რომ ბევრ სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ მხრივ ვერ დავაკმაყოფილეთ ოფიცრის და ჯარისკაცის მოთხოვნილება. ხოლო სანუგეშებლად ის უნდა ითქვას, რომ ამას ხელი არ შეუშლია რომ როგორც ერთში, ისე მეორეში პატრიოტული გრძნობა აგზნებულიყო და სამშობლო საკუთარი სიცოცხლის საფასურით დაეცვა. მაგრამ ყოველ გრძნობის მაქსიმუმი ძლიერების გამოსაჩენად, ერთგვარი ფსიხოლოგიური და მატერიული პირობების ოპტიმუმია საჭირო და ეს ოპტიმუმი, დღემდე ვერ შევქმენით; ხოლო უნდა შევქმნათ კი, თუ გვინდა ჯარი და ბრძოლაში გამარჯვება.

რაც შეეხება ოფიცრობას, რუსეთის ომმა ერთობ დიდი კონტინგენტი გვიანდერძა, როგორც მემკვიდრეობა. ჩვენი ცოცხალი საომარი ძალის მიხედვით, ოფიცერთა რიცხვის შემოკლება და შერჩევა აუცილებელი გახდა. მაგრამ ამ პროცესში, ამ შერჩევაში, ვერ დავიცვით საჭირო ხაზი და სისწორე. ბევრი ერთობ დიდი ღირსების ოფიცერი გავრიყეთ და საერთო ჯამი ქუჩაში დარჩენილთა მეტად საგრძნობი გახდა. ამათ რიცხვში ბევრია ისეთი, ვისაც ათობით წელიწადი უმსახურნია და სხვა საქმისთვის ნაკლებად არის გამოსადეგი. ბევრია ცოლშვილით დატვირთულიც. ყველა ამათი მდგომარეობა მეტად მძიმეა, განსაკუთრებით დღევანდელ დღეს. ბევრს შიმშილით ცოლშვილის დახოცვის შიში თავს დასტრიალებს. ყველა ესენი ქართველები, პატრიოტები და მეომრები არიან, სწორედ ის ხალხია, რომელიც სამშობლოს თავდაცვას უაღრესად გამოადგება და რომელსაც ქვეყანა მიმართავს ხოლმე ყოველს კრიტიკულ მომენტში სიცოცხლის შესაწირავად თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. ამ ხალხს მეტი ყურადღება და ზრუნვა უნდა გავაყოლოთ, ვიდრე ეს ჩვენ ვქენით. სამ-სამი თვის ჯამაგირით გავისტუმრეთ, მართალია, ჩვენი ხაზინა ღარიბია, მაგრამ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში ეკონომიის გაწევა საჭირო არ არის. შეიძლებოდა ნაცვლად სამისა, ექვსი თვის ჯამაგირი მიგვეცა და ეს ჯამაგირი არა ერთბაშად, არამედ თვე და თვე გვეძლია. ამავე დროს მთავრობა უნდა ეცადოს ჯერ უფრო ხნიერებსა და ცოლშვილიანებს და შემდეგ უფრო ახალგაზრდებსაც სხვა უწყებაში ადგილი უშოვოს.

იქნებ შესაძლებელი ყოფილიყო მათთვის რაიმე საქმის შექმნაც. ერთი სიტყვით, უნდა სჩანდეს, რომ მთავრობა გულით ზრუნავს, რომ იგი დაინტერესებულია, სახელმწიფოსა და საზოგადოების სარგებლობის მიხედვით, ამ გაუქმებულ ოფიცრებს არსებობა და ცხოვრებასთან ბრძოლა გაუღვივოს. ამ მხრივ გაცილებით მეტის, განუზომლად მეტის გაკეთება შეიძლება, ვიდრე ის, რაც დღემდე გაკეთდა. ეს პირისპირი საქმეა და მოვალეობა სამხედრო მინისტრისა.

რა დიდი და გარდაქმნელი ზნეობრივი გავლენა ექნებოდა ამგვარ ზრუნვას, არამც თუ პირდაპირ დაინტერესებულ ოფიცერთა, არამედ ჯარში დარჩენილ ოფიცერთა და ჯარის-კაცთათვისაც,—ერთი სიტყვით, მთელი ჯარისთვის?! ჯერ გვიანი არ არის. ამ საკითხს უნდა დავუბრუნდეთ და გადავსინჯოთ. ვიყოთ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი.

რაც შეეხება ჯარის-კაცებს, მეტი ყურადღება და მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ. ჭამა-სმა და ჩაცმა-დახურვა უნდა ჰქონდესთ შემოუკლებლად თვიური ჯილდოც უნდა დროზე მიეცესთ. ჩვენ ვიცით შემთხვევები და ძალიან ბევრიც, რომ ეს ასე არ არის. უნდა გამოირკვეს, ვისი ბრალია ეს და დამნაშავე დაისაჯოს მთელი სისასტიკით. ჩვენ ვიცით, რომ ჯარის-კაცები კიდევ გარბიან და დასჯით არ ისჯებიან.

ვიცით ბატალიონები და პოლკები, სადაც ეს მეტად საგრძნობი გამხდარა... აქ დაწვრილებით ვერ ვილაპარაკებთ. გვინდა მხოლოდ საერთო დეფექტებზე მივუთითოთ. თვით სამხედრო მინისტრმა უკეთ უნდა იცოდეს დეტალები და მდგომარეობის ფაქტიური მხარე...

ამ წესით ჯარი ვერ შეიქმნება, ე. ი. ვერ შეიქმნება ის იარაღი, რომელმაც სამშობლო მტრისგან უნდა დაიცვას. ხოლო ეს იარაღი დღეს ისე უნდა ავაწყოთ, და გავამახვილოთ, როგორც არასოდეს. მომენტი რომ ამას მოითხოვს, გვგონია, მტკიცება არ სჭირია.

საქართველო ერთი მტკაველია. ბ-ნ სამ. მინისტრს, რომელიც დღე და ღამე ჯარზე უნდა ფიქრობდეს, შეუძლიან პირადათ ხშირ ხშირად ინახულოს ჯარი სხვა და სხვა ადგილას, ნახოს მისი ნაკლი და ღირსება, მასში შეიტანოს აღფრთოვანება და თავის ხელქვეითებს ხელი მოუჭიროს რომ ყველაფერი დროზედ და წესით მიეცეს ოფიცერს და ჯარის-კაცს. მინისტრი უნდა ზრუნავდეს ამაზე. ბიუროკრატიულად ცოცხალი საქმის გაკეთება არ შეიძლება, და ჯარზედ უფრო ცოცხალი, და კაპრიზიანი, აბა რომელი მეორე ინსტიტუტია?! საქმეს სიყვარული უნდა, და იგი უნდა გწამდეს. სადაც სიყვარული და რწმენაა, იქ სასწაულიც შეიძლება საქმის გაკეთების მხრივ. ნუ ვათქმევინებთ ნურავის, რომ მთავრობას ეს რწმენა და სიყვარული აკლდეს.

უკანასკნელი ცნობები

აღმოსავლეთ ანატოლიაში მდგომარეობა მეტად გამწვავებულია.

ლისაბონში რკინიგზის მოსამსახურეთა გაფიცვები დაიწყო.

ჰუნგრეთში ნოკაშის კაბინეტი გადადგა.

ჩრდილოეთის და დასავლეთის მიმართულებით საბჭოთა ჯარები წინ მიიწევენ.

სამხრეთის მიმართულებით ბოლშევიკები იხევენ.

პრესსა.

საყურადღებოა გაზეთ „ერთობაში" მოთავსებული წერილი (იხ. 17 აგვისტო № 184) აფხაზეთის საკითხის გამო; საჭიროდ ვსთვლით ზოგიერთი ადგილები მოვიყვანოთ ამ წერილიდან.

„აფხაზეთის საკითხი კვლავ აღიძრა ამ ჟამად ორ კერძო შემთხვევის გამო. პირველი შემთხვევა მდგომარეობს აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისრის ბ-ნ ტუმარკინის გადაყენებაში, როგორც საეჭვო პირის, რომელსაც, როგორც საზოგადოებაში ხმა დადის, დენიკინთან კავშირი ჰბრალდება. მეორე შემთხვევა აფხაზეთის კომისარიატის მიერ გამოტანილი დადგენილება ბ ნ ნიკო თავდგირიძის აფხაზეთიდგან გადასახლების შესახებ. გაზეთ „საქართველოში" ბევრი იწერება ამ უკანასკნელ შემთხვევის გამო. მიუხედავად ამ კითხვის დაწვრილმანებისა, მას დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, ერთის მხრით გაუგებარია ის, რომ ბ-ნ თავდგირიძეს გადასახლება გადაუწყვიტეს უბრალო პოლემიკურ წერილებისათვის იმ დროს, როცა ბ-ნ თავდგირიძეს ისეთი დიდი პოსტი უჭირავს, როგორიც არის მომრიგებელ მსაჯულთა ყრილობის თავმჯდომარეობა, მაგრამ მეორე მხრით, კიდევ უფრო გაუგებარია დადგენილების ფორმალური მხარე: საქართველოს ნაწილში გადასახლებას უწყვეტენ საქართველოს მოქალაქეს რესპუბლიკის ცენტრალურ მთავრობის დაუკითხავად.

ანალოგიურ შემთხვევაში ამას წინეთ აფხაზეთის სახალხო საბჭომ საქართველოს მთავრობის წინაშე აღძრო შუამდგომლობა ვინმე ჩერქეზიას შეწყნარებისათვის, რომელსაც ქალის მოკვლისათვის კატორღა ჰქონდა მისჯილი. ეჭვი არაა, აფხაზეთის კომისარიატმა თავდგირიძის საქმეში დაარღვია სახელმწიფოს მიერ მიღებული პრაქტიკა და უფლების გადაჭარბებაც ჩაიდინა. ასეთ პირობებში ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია სოხუმის ქალაქის საბჭოს სოც.-დემ. ფრაქციის ნაბიჯი: მას თამამად შეეძლო მხარი დაეჭირა საბჭოს უმრავლესობის რეზოლუციისათვის, კიდევ მეტიც: მას პირველს უნდა შეეტანა ასეთი რეზოლიუცია"

ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით აღვნიშნავთ მმართველ პარტიის მხრივ გამოთქმულ სამართლიან აზრს. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ზემოდ მოყვანილ მოსაზრებებს. ჩვენ გვაკვირვებს მხოლოდ ერთი რამ. თუ მართალია, ის რო მმართველი პარტიისაგან აფხაზეთის საშინაო საქმების გამგედ მოწოდებული დ დანიშნული—ტუმარკინი დენიკინის თანამგრძნობელი და თანამშრომელი აღმოჩნდა, მაშინ რატომ საქვეყნოდ არ ალიარებთ, რომ არა თუ შეცდომა დიდი დანაშაულობაც აქვს ჩადენილი სოხუმში მომქმედ მთავრობის მომხრე პარტიას და ნ. თავდგირიძე არა თუ გადასახლების, მადლობის ღ ირსია, რომ პირველმა მან საქვეყნოთ აღნიშნა, რომ აფხაზეთში რაღაც საიდუმლოდ ჩვენი სახელმწიფოებრივ წყობილებისათვის სასაშიშრო მოვლენები ხდებაო. რაც უფრო მეტ სინათლეს, მეტ სამართლიანობას დაიცავთ, მით უფრო მეტ ნდობას და თანაგრძნობას მოიპოვებთ ხალხის უმრავლესობაში.

სომხები—სომხეთისაკენ

გაზ „ჟოღოვორდი ძაინს" მოჰყავს რიცხვი იმ სომხებთა, რომელთაც განუზრახავთ სომხეთში დაბრუნება სხვა და სხვა უცხო ქვეყნებიდან.

ბესსარაბიიდან 30,000 სომეხს ერევანში დელეგაცია გაუგზავნია სომხეთში დაბრუნების შუამდგომლობისათვის. ბულგარეთიდან 35,000 სომეხმა აცნობა სტამბოლის პატრიარქს, რომ ისინი მალე დაუბრუნდებიან სამშობლოს და მათგან მრავალს გაუყიდნია ქონება და მზად არიან სომხეთში გადასახლდნენ.

ყირიმიდან 20,000 სომეხს ასეთივე თხოვნით მიუმართნია პატრიარქისათვის. მოსკოვიდან და ჩრდილო რუსეთიდან 50,000 სომეხმა შუამდგომლობა აღძრა თავის ძველ სამშობლოში დასაბრუნებლად. ჩრდილო კავკასიიდან და სამხრეთ რუსეთიდან 20,000 სომეხი აპირობს სომხეთში დაბრუნებას, როცა საზავო კონფერენცია სომხეთის დამოუკიდებლობას გამოაცხადებს.

შავი ზღვის ნაპირებიდან 1896 წ. ჟლეტის დროს გადასახლებული ლტოლვილები ასევე სოხუმიდან, ეგვიპტიდან, სუდანიდან, ხართუმიდან და აბაშეთიდან გადმოსახლებას აპირობს 50,000 სომეხი კილიკიაში.

აქ ანგარიშში არ ვიღებთ სომხობას სპარსეთიდან, ამერიკიდან, ევროპიდან, ინდოეთიდან და სხვა ქვეყნებიდან დაბრუნების მოსურნე სომხების რიცხვს. კარგი იქნებოდა ეს სტრიქონები გადაეკითხა ოსმალურ გაზეთ „აქშამის" რედაქტორს, რომელიც სომხეთს უსომხობას უკიჟინებდა".

ჩვენ სრულიადაც არ გვაკვირვებს სამშობლოში დაბრუნების მოსურნე სომხეთა რიცხვის ასე გაზრდა. და პირიქით სურვილსაც გამოვსთქვამთ რაც შეიძლება მეტმა სომეხმა, სამშობლოს გარედ მყოფმა მონახოს თავისი ისტორიული მიწა-წყალი.

მთავრობის წრეებში

12 მარიამობისთვის სხდომა.

სხდომას დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ე. გეგეჭკორი.

მინისტრები ბბ. კანდელაკი, რამიშვილი, ხომერიკი. სახელმწიფო კონტროლიორი ბ. გოგიჩაიშვილი. მინისტრთა ამხანაგები: ბბ. ცინცაძე, გელეიშვილი, ავალიანი, გიდევანიშვილი, ერაძე, ჰეჟინაძე, საბახტარაშვილი.

დაესწრნენ აგრეთვე ბბ. ნ. ცაბაძე, ოდიშელიძე, ვ. ჯუღელი, ის. რამიშვილი, საქმეთა მმართველი ბ ჯაფარიძე. მდივნობს ბ. ლომთაძე.

მოხსენებანი იუსტიციის მინისტრისა.

სასჯელის შეცვლა.

მიხეილ ალექსანდრეს ძე ავალიანს თბილისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. ივლისის 3-ის განაჩენით გადაწყვეტილი სასჯელი შეეცვალოს ორი თვით ციხეში დაპატიმრებით უფლებების აუხდელათ და შეუზღუდავათ.

—

ივანე მარკოზის ძე მარკოზაშვილს სამხედრო სასამართლოს 1918 წ. 21 ოქტომბრის განაჩენით გადაწყვეტილი სასჯელი შეეცვალოს წელიწად ნახევარით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში მიცემით.

—

რიზა კული როსტომოვს თბილისის ოლქის სასამართლოს 1919 წ. მარტის 14-ს განაჩენით გადაწყვეტილი სასჯელი შეეცვალოს ორი თვით ციხეში დაპატიმრებით უფლებების აუხდელათ.

—

ერმილე დავითის ძე თოფურიას აღედგინოს ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1911 წ. აპრილის 19 ის განაჩენით ჩამორთმეული უფლებანი.

—

აირაპეტ გარიბოვის და ხაჩატურ კარაპეტიანცის საქმე (მათი ავაზაკური მოქმედების შესახებ ახალციხე ახალქალაქის მაზრებში) მიისპოს და ყოველგვარი გამოძიება ამ საქმის შესახებ შესწყდეს.

უარი თხოვნაზე.

მიხეილ გიორგის ძე ჯაშიაშვილის თხოვნა რაჭის ტრიბუნალის 1918 წ. 2 სექტემბრის განაჩენით გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ უყურადღებოთ იქმნას დატოვებული.

მოხსენება მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგისა.

მდინარე ცხენის წყლის გამაგრება.

გზათა უწყების განკარგულებაშიარსებული ცემენტი (1000 ბოჩკა) არ გაიყიდოს და გადაეცეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს. დაევალოს სათანადო ერობას ამ ცემენტის ფასი გაეწეროს სოფლელებს და მხოლოთ ამის შემდეგ დაიწყოს მუშაობა მდინარე ცხენის წყლის ნაპირების გასამაგრებლათ.

40,000-ანი ოსმალური ჯარი მცირე აზიაში

ბათუმიდან „ჟოღოვორდი ძაინს" აუწყებენ, რომ ოსმალებს მცირე აზიაში მოუგროვებიათ 40,000 ჯარი თავიანთ მრავალ ზარბაზნებით დ ტყვიისმფრქვეველებით. ამბობენ, რომ ჯარის მოთავენი სცდილობენ ენვერ ფაშის ჯარის სარდლად მოწვევას.

ფონდერ ჰოლცი და კოლჩაკი.

„მორნინგ პოსტ"-ის ცნობით ლიბავიდან ლატიშთა პრეს ბიუროს აუწყებენ, რომ გერმანელი გენერალი ფონდერ ჰოლცი დანიშნულია თ-დ ლივენის შტაბის უფროსად. ლივენი რუსის ჯარის მთავარ სარდალია ლიბავაში. ფონდერ ჰოლცისათვის მიუმართავს კოლჩაკის წარმომადგენელს და ისიც დასთანხმებია ჰელსინგფორსის ჯარის სარდლობას.

ამერიკის ახალი მისია ამიერკავკასიაში.

(გაზ. „საქართველოს" ცნობა).

(ინგ. მის. დეპ).

მოკლე ხანში თბილისში ჩამოვა ამერიკული მისია გენერალ ჰარბორდის მეთაურობით, დელეგაცია გამოგზავნილია ვილსონის მინდობილობით და დავალებული აქვს გამოარკვიოს ამიერ-კავკასიისა და კერძოდ სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო მდგომარეობა. და აგრეთვე შეიმუშავოს თვისი პირობები და ვალდებულებანი იმ შემთხვევაში, თუ შეერთებულ შტატები სომხეთის მანდატს მიიღებს.

რომის პაპის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში

სტამბოლიდან ბათუმში გამოემგზავრა რომის პაპის წარმომადგენელი პატრი დე-ბული, რომელიც პაპის სახელით უნდა მიესალმოს ამიერკავკასიის ახალ რესპუბლიკებს.

საქართველოს მთავრობა უკვე შეუდგა თადარიგს ღირსეულათ მიღებისათვის. პატრი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ერევანში უნდა გაემგზავროს.

როგორც „ნორ-აშხ." სწერს რომის პაპს უცვნია სომხეთის რესპუბლიკა და მომხრეა ქართველების სრული დამოუკიდებლობისა. („ნ. აშხ.").

ბათომი

ნატენების საბაჟო აუწყებენ, რომ ბათუმში ჩამოიტანეს დიდძალი საგაზეთო ქაღალდი. ამასთან ერთად თბილისის ბაზარზე ქაღალდის ფასმა დაიწია.

ქრონიკა

◆ **ექიმთა კავშირის კრება.** ოთხშაბათს 20 მარიამობისთვეს საღამოს 7 ნახ. ს. სამაზრო ერობის შენობაში (რუსთ. პროსპ. № 6) შესდგება საზოგადო კრება საქ. ექიმთა პროფ. კავშ. თბილისის განყოფილებისა, გასარჩევია საკითხი ექიმთა სასანიტარო გადასახადით (2.000 მ თითო ექიმზე) დაბეგრისა

◆ **ფიზიკურ ობსერვატორიის** დირექტორი ბ.-ლეხლერი სამსახურიდან წავიდა. მის ადგილას დაინიშნა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ა. მ. ბენაშვილი.

◆ **იტალიის ჯარი.** ქალთა მესამე გიმნაზიის ბინაზე იტალიის ჯარები დაბანაკდა.

◆ **ქართულ მუზეუმის** დირექტორათ დაინიშნა ყოფილ კავკ. მუზეის დირექტორი ნ. მ. ყიფიანი.

◆ **სწავლა დამთავრებულნი.** წელს ქალთა მეორე გიმნაზია დაასრულა 146 ქალმა მათ შორის ოქროს მედალი მიიღო ნ. დედაბრიშვილმა, ვერცხლისა: ა. ნ. კუზმინსკაიამ, ა. ავეტისოვმა, ნ. ავეტისოვმა და ივანოვმა.

◆ **ფლოტის სახელოსნო სკოლის** უფროსათ დაინიშნა ფლოტის კაპიტანი ა. ღ. გოგავა.

◆ **გაზ. „ნოვოე დენის" დახურვა.** შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით დაიხურა გაზ. „ნოვოე დენი"-ს რედაქცია და კანტორა დაიბეჭდა და გაზეთის რედაქტორი ნ. მაწიაშვილი დატუსაღებულ იქმნა.

◆ **ტუსაღების გაქცევა.** დუშეთიდან იუსტიციის მინისტრს დეპეშით ატყობინებენ რომ 16 აგვისტოს გათენებისას დუშეთის საპყრობილიდან გაიქცა 28 ტუსაღი. მათ მოუსყიდიათ სატუსაღოს მცველი, რომელიც მათთან ერთათ გაქცეულა. გაქცევის დროს ტუსაღებს დაუჭრიათ ციხის ზედამხედველი. ამ ამბის გამო გუშინ დუშეთს გაემგზავრა საპყრობილეთა ინსპექტორი ბ. ყიფიანი.

◆ **გაქცეულ ტუსაღის შეპყრობა.** თიანეთის სამაზრო კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით ატყობინებს, რომ თიანეთში მან შეიპყრო დუშეთის ციხიდან გაქცეული ტუსაღი ივანე შათირიშვილი, რომელიც დუშეთში გაიგზავნა.

შეცდომის გასწორება.

კვირის მეთაურში **დაბეჭდილია:** ბ-ნი ასკილი ანტანტის უმაღლესი კომისარია **ამიერ-კავკასიის სომხეთისათვის. უნდა იყოს:** ...ამიერ-კავკასიისა და სომხეთისათვის. **დაბეჭდილია:** ... შეხვდებიან ბ-ნ ჰასკელს მის ხელში და მუშაობაში

უნდა იყოს: .. მის როლში და მუშაობაში.

დაბეჭდილია: სიგრძესა და სიგანეში ვერ გავრწმუნდებით

უნდა იყოს: ...გავწვრთნილვართ ..

დაბეჭდილია: ...და თამამად ვიტყვი სამშობლოს დამოუკიდებლობის.

უნდა იყოს: თამამად ვიცავთ სამშობლოს დამოუკიდებლობას.

დაბეჭდილია: ამ მაკრატლით დეკემბრის რვას წარმომადგენელი ჩამოვიდა საქართველოში

უნდა იყოს: ამ მაკრატლით დეკემბრის თვეს ინგლისი ჩამოვიდა საქართველოში.

პროვინციის ცხოვრება

ხ. ეკატერინენფელდი

გადაყენებულია და სამართალში მისცეს ეკატერინენფელდის კომისარი პრაპ. მეავანაძე, მის მაგივრად დაინიშნა გაქართველებული ბერძენი მავრომულო.

— 15 მარიამობისთვეს, შუადღის 3 საათზე მოჰკლეს კონიაკის ქარხნის პატრონი გერმანელი მილიონერი იოსებ ალმენდინგერი. კომისარმა მავრომულომ მკვლელები აღმოაჩინა. ყველანი ბორჩალოს თათრები არიან

სამღვდელოების ცხოვრებიდან.

რევოლიუციის პირველ ხანებში დიდი აღტაცებით გაიმართა საეკლესიო კრება, რომელმაც შეიმუშავა „დებულება", მას აქეთ მისი ნაკლების შესწორებაც კი მოიწადინ საქ. საბჭომ, მაგრამ ამ დებულების მუხლების უნაკლულოთ გატარებისათვის კი არავინ ზრუნავს.

მაგ: დებულების ერთი მუხლი საზღვრავს სამღვდელო კანდიდატის ხნოვანობას და სწავლას, ასე რომ კანდიდატათ ვერ იქნება წარმოყენებული ის პირი რომელიც შესაფერი ხნოვანი არ არის და პროგიმნაზიულ ოთხი კლასის ცოდნა არა აქვს შეძენილი მაგრამ ჩვენ რასა ვხედავთ: თუმცა ამ მუხლის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი კანდიდატები ჯერ-ჯერობით მრავლად მოიპოვებიან, მაგრამ ჩვენ მაინც ვხედავთ, რომ ყოველივე სასკოლო ელემენტარულ მეცნიერების ცოდნას და შრომის ხალისს და უნარს მოკლებული 60-70 წლის, „ოსტავკაში" გამოსვლული მედავითნე სრულიად ადვილათ იღებს ჯიბეში მღვდლობის გამოცდის მოწმობას და სადაც საარჩევნო ყუთი ლაიდგმის იქ გამოცხადდება, და დღევანდელი, ჩვენი, არჩევნების უფლების წესიერათ მოუხმარებლობით, მოსარგებლე, ხშირად თავისზედ ღირს კანდიდატს ხმას მშრალს უშვებს, ასე რომ უმისოდაც დაბეჩავებულ სამღვდელოებას ემატება უფრო დაღლილი, დრო მოჭმული და ყოველივე ცოდნას და უნარს მოკლებული თანამშ.

ერთ მრევლში მღვდლის ადგილი იყო დაცლილი და მორწმუნენი არჩევნებისათვის იყვნენ შეკრებილნი. თავმჯდომარემ მრევლს ისეთი კანდიდატების თხოვნები წაუკითხა, რომ ერთმა მოხუცმა გლეხმაც კი შენიშნა: „მართო მამაო ჩვენოს მცოდნე და კუბოს კარებზე მიმდგარი პირი რომ გვდომოდა მღვდლათ, ამაზედ ხომ შორს არ წავიდოდით, მაგისთანა გაღამდგარი მღვდელი ჯერით ხომ ცოცხალი გვყავსო". მაგრამ გლეხის სიტყვამ ადრევე შემზადებულებზედ ვერ გასჭრა და მღვდლათ აირჩიეს, უსათვალოთ ვერ მხედველი, ყოველივე სადვთისმეტყველო და საეცნიერო ცოდნას მოკლებული მოხუცი მედავითნე, რომელსაც მხედრულათ დაწერილი ქაღალდების წაკითხვაც კი ეძნელება, თუმცა ამ ადგილის დაცლა რომ ცოდნოდათ ბევრი ათი მასზედ ღირსი და სასურველი კანდიდატიც კი ითხოვდა ამ ადგილს.

ეს ფაქტი სახეში მისაღებია და საქათალიკოსო საბჭომ ამ ზემოაყვანილი დებულების მუხლის—სისრულეში მოყვანისათვის, სათანადო განკარგულება უნდა გასცეს, და განათლება მიუღებელი კანდიდატი უკიდურეს შემთხვევაშიდაც არ უნდა დაუშვას არჩევნებზედ, თუ კი მღვდლობას მსურველი კანდიდატი, ცოტაოდენი განათლების მქონე მაინც მოიპოვება სადმე; თორემ ისედაც დაბეჩავებული სამღვდელოების კადრი სრულიად გათახსირდება და დაეცემა და მისი აღდგენა საზოგადოთ კი ძნელი იქნება.

მორწმუნე.

ტყიბულის ქვა-ნახშ. მაღ. მდგომარეობა.

მკათათვის უკანასკნელ რიცხვებში გაგზავნილი იყო ტყიბულში კომისია, რომელსაც დაევალა ქვა-ნახშირის მაღაროების არსებულ მდგომარეობის გამორკვევა და აგრეთვე გარჩევა იმ უთანხმოებისა, რომელმაც თავი იჩინა მაღაროების ადმინისტრაციის და პროფესიულ კავშირის შორის.

კომისიამ გამოარკვია, რომ მუშაობა მაღაროებში ჯეროვნად მიმდინარეობს და ბოლო ექვს თვეში შესამჩნევად გაუმჯობესობა დაეტყო მაღაროებს ტეხნიკურად.

კომისიამ წარმოადგინა დასკვნები მრავალ საკითხის შესახებ, რაც მიღებულ იქნა მხედველობაში ტყიბულის მაღაროების საკითხის გადაჭრის დროს და წარედგინება ეხლა მაღაროებს განაგებენ) გადაცემაზე. მთავრობის სათანადო მოხსენებაში.

რაც შეეხება უთანხმოებას ადმინისტრაციისა და პროფესიულ კავშირის შორის კომისიამ გამოარკვია, რომ ეს უთანხმოება დაიბადა იმიტომ, რომ გავრცელდა ხმები მაღაროების კერძო პირებზე (სახელდობრ იმ ინჟინერებზედ, რომელზედ ამ ნიადაგზე წამოყენებულ იყო პროფესიულ კავშირის მიერ ბრალდებები ადმინისტრაციის წინააღმდეგ, რომელნიც, როგორც კომისიამ გამოარკვია, სრულიად საფუძველს მოკლებულია.

საერთო კომისიის დასკვნით ტყიბულის მაღაროები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არიან, მთავრობის მიერ მათი საბოლოო გამოსყიდვა უწინდელ პატრონებისაგან სასურველად არის მიჩნეული, არსებულ ადმინისტრაციის მუშაობის გეგმა კომისიის მიერ მოწონებულია.

პონტის პარლამენტი

მკათათვის 8-ს ბერძენთა პონტოს პარლამენტმა, რომელიც ბათომში იმყოფება, სამი თვით თავისი მუშაობა შეწყვიტა და ამ ხანის განმავლობაში საქმის გასაძღოლად ამოირჩია 7 კაცისაგანშემდგარი ორგანო „პონტოელთა საბჭო". საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს იანიდი, მდივნად ანტონ კონსტანტინიდი, წევრებად კონსტანტინ ზარუკიდი, არისტოტელ ჰოპანდოპულო, ექიმი თეოფილაქტოს და ლეონიდ იასონიდი.

პარლამენტის დახურვის წინ თავმჯდომარედ იაკონიდის მაგიერ აირჩიეს ლეონიდი. პარლამენტის გასარჩევად საკითხთა შორის არის სასკოლო ლტოლვილთა და ფინანსური. უკანასკნელ საკითხის მოსაგვარებლად გადაწყვეტილია გაიმართოს 2 ნახ. მილიონიანი ლატარია და აიღოს შინაური სესხი პონტულ ბერძენთა თაოსნობით. მომავალ პონტოს სახელმწიფოს საზღვრები მათ წარმოდგენილი აქვთ შავი ზღვის ნაპირას სინოპიდან რიზემდე და ბაიბურთის მხარეს გავლებული ხაზით.

პარლამენტი ბერძნულ ენაზე სცემს გაზეთს „თავისუფალი პონტის"

პოლონეთში

ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა გერმანიიდან სამხედრო ტყვე რომელსაც გამოვლილი აქვს ელზას-ლოთრინგი, ბელგია, სპარტაკული მიუნხენი, პოლონეთი, „სოვდეპია" და დენიკინის სამფლობელოთი არის საქართველოში შემოსული.

გამოვლილ სახელმწიფოთაგან ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება მასზე ახლად აღორძინებულ პოლონეთის მოუხდენია.

„დღეს პოლონეთი სრული დამოუკიდებელია გენ. ჰალერის ჯარი პირდაპირ მისწრება იყო პოლონეთისათვის. სამხედრო ხელოვნების შესწავლა და შეიარაღება ჯარში იმდენად მაღლა სდგას, რომ ძნელად თუ ბოლშევიკები გაუძლებენ მათ რკინის ასეულებს. ყველა დაწესებულებაში ნაციონალიზაცია განხორციელებულია სრულიად.

პოლონეთი ეხლა ორ ასპარეზზე აწარმოებს ბრძოლას, იდეურს და ფიზიკურს, გერმანელებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ. შეიძლება თამამად ითქვას რომ ბოლშევიზმი არამც თუ იდეიურად ბრძოლითაც მის წინააღმდეგ ვერას გააწყობს. ერთის მხრით სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში გართული პოლონელი ხალხი მეორეს მხრივ ჰკრებს შვილებს და ბრძოლის ველზე ჰგზავნის.

ქართველებისადმი დამოკიდებულება მეტად კარგია, ინფორმაციის მოწოდებულ ხან თეთრების ხან წითლების მიერ კრიტიკულად უყურებდნენ და დიდის ყურადღებით ეპყრობოდნენ საერთოდ ამიერ-კავკასიის საკითხს".

ტყვე დიდხანს ესაუბრა ჩვენს თანამშრომელს გერმანიის და რუსეთის დღევანდელ მდგომარეობაზე, რასაც ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომრებში მოვათავსებთ.

უკრაინის დელეგაციის მემორანდუმი ბესარაბიის შესახებ

უკრაინის დელეგაციამ საზავო კონფერენციის პრეზიდიუმს მემორანდუმი წარუდგინა, რაშიაც პროტესტს აცხადებდა, რუსების მიერ ბესარაბიის საკითხში ჩარევის წინააღმდეგ.

„ბესარაბია—ნათქვამია მემორანდუმში—„რუსეთის დანგრევამდე რუსეთის ოლქი იყო, რომელზედაც ნახევრად უკრაინელი და ნახევრად რუმინელი მოსახლეობა იყო.

რუსეთის რევოლიუციის დროს ბესარაბიამ გამოსთქვა თავისი მტკიცე სურვილი უკრაინასთან შეერთებისა. ამისთვის ბესარაბიის საკითხის მოწესრიგება უკრაინა-რუმინეთის შინაური საქმეა.

კასპის იმიერ მდებარე ოლქში

როგორც სარწმუნო წყაროებიდან „აზერბაიჯანს" აუწყებენ მარიამობისთვის 5-ს. კრასნოვოდსკში კასპის მთავრობა გააუქმეს (მინისტრთა საბჭო) და დროებით ძალა-უფლება ლაზარევის ხელში გადავიდა. ლაზარევი კასპის იმიერ მდებარე ოლქის მმართველად იქნება მანამ კრასნოვოდსკში დენიკინის წარმომადგენელი გენ. ბეროვსკი ჩამოვა. უკანასკნელ ხანამდე იქ მყოფი მთავარსარდალი გენ. სავიცკი დენიკინმა მარიამობისთვის 10-ს გამოიწვია.

ბოლშევიკების დევნა უნგრეთში

გაზ. „საქართველოს" ცნობა.

(ინგ მის. დეპ.)

ბუდაპეშტის ახალი მთავრობა სასტიკად სდევნის ბოლშევიკების ყოფილ დიქტატორებს, ბელაკუნს და სხ., რომელთაც ბრალსა სდებს მრავალ ბოროტმოქმედებაში.

ახალი გადასახადები გერმანიაში

გაზ. „საქართველოს" ცნობა.

(ინგ. მის. დეპ.)

გერმანიაში ძალიან მოკლე ხანში უნდა შეიკრიბოს 250 მილლიარდის მარკა. გადასახადი გაწერილია სურსათზე და პირველ საჭიროების საგნებზე დაც.

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 18.

უნგრეთის მთავრობა

ლიონი. აგვ. 16. დღეს შესდგა უნგრეთის ახალი კაბინეტი რომელშიაც შედიან ფრიდრიხი თავმჯდომარე, უპორტფელო, ლოვაში საგარეო საქმეთა მინისტრი, გენ. შნეცერი სამხედრო მინისტრი, გრაფი ტელეკი-ზავისთვის მზადების მინისტრი. ახალ მთავრობას გარკვეული ხასიათი არა აქვს, ირწმუნებიან, რომ ერცჰერცოგი იოსები არჩევნებამდე გადადგება.

სოციალისტთა პროტესტი.

ჰელსინგფორსი. 13. გერმანული გაზეთების ცნობით ლიუცერონში სოციალისტურმა განყოფილებამ გადასწყვიტა პროტესტი განაცხადოს იმ ზომების გამო რომელსაც მოკავშირენი ღებულობენ უნგრეთში.

ქვა-ნახშირის ნაკლებულება ზემო სილეზიაში.

ნაუენი. აგვ. 15. ზემო სილეზიაში მდგომარეობა უფრო გამწვავა იმან, რომ ქვა-ნახშირის მაღაროების მუშა-

თა გაფიცვის გამო ელექტრონის სადგურებიც დადგა. ქვანახშირის და სინათლის უქონლობის გამო მრავალი მაღარო ქარხნები დაიხურა და შესაძლებელია გაზეთების გამოსვლაც შესწყდეს.

გერმანელთა შეთქმულება.

ჰელსინგფორსი. აგვ. 11. ლიბავაში აღმოაჩინეს გერმანელთა ორგანიზაცია, რომლის მიზანიც ლატვიის მთავრობის დამხობა იყო.

სომხეთის გარშემო.

ლონდონი. აგვ. 11. ინგლისის სამხედრო სამინისტრო კავკასიის ამბების შესახებ ოფიციალურად იუწყება რომ რუსეთის სომხეთის რესპუბლიკის სამხრეთ საზღვრებიდან შეიარაღებულ ძალთა გამოყვანას მოყვა სამხედრო მოქმედების განახლება ერთის მხრით თათრებსა და ქურთების შორის და მეორეს მხრით სომხების შორის. შეტაკება გამოიწვიეს ოსმალებმა, რომელთაც 10 000 კაცი შეიარაღეს. იყო აგრეთვე ინგლისელებზე თავდასხმის რამოდენიმე შემთხვევა.

№-ის არმიის შტაბი. აგვ. 15. ზლატო, უსტში თეთრებმა იქიდან წასვლის წინ 2000-მდე კაცი დააპატიმრეს, 500 დახვრიტეს და 3000 ძალით წაიყვანეს.

№-ის არმიის შტაბი. აგვ. 8. უკანასკნელ დღეებში მრავლად მოყავთ ჩელიაბინსკთან დაჭრილი თეთრები, რომელნიც ირწმუნებიან, რომ ისინი ტყვეის მფრქვეველების შიშით მიდიოდენ ფრონტზე და ასობით ხვრეტდნენ მათ.

მოსავალი ორენბურგში,

ბუზულუკი. აგვ. 15. ორენბურგის გუბერნიაში კარგი მოსავალია. პური მომწიფდა, მაგრამ გლეხებს საკუთარი ძალებით მისი მომკა არ შეუძლიათ.

სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი, სამოზეროს ტბის დასავლეთით სოფლები ავიღეთ.

დასავლეთის ფრონტი. პსკოვის რაიონში მდ. ველიკაიას დასავლეთით ჩვენმა ჯარმა სოფლები აიღო ვილეიკის მიმართ. ჩვენ ჯარს მტერმა ბუდსლავი დააცლევინა. მინსკის მიმართ. ბობრუისკის რაიონში მტერმა დაბა სვიბლოჩი დაგვატოვებინა. ლუნინეცისკენ მტერმა ჩვენი ჯარი მდ. სლუჩის აღმოსავლეთით გადმოდევნა.

სამხრეთის ფრონტი. მირგოროდისკენ ქ. ლუბნისთვის ბრძოლაა. ზენკოვისკენ ქ. გადიაჩი დავტოვეთ. სუმის ჩრდილო დასავლეთით 25 ვერსის მანძილზე ბრძოლაა. ნოვოსკოლსკის, სვირის და ისტრალოვის მიმართ. ჩვენი ჯარი წინ მარჯვედ მიიწევს. ნოვოსოპერისკენ სოფ. და სად. კოლენოვო ავიღეთ.

აღმოსავლეთის ფრონტი. ჩერნი იარის რაიონში შეტევას განვაგრძობთ. ელტონის ნავთსადგურიდან მტერი განვდევნეთ. ორენბურგის დასავლეთით ქ. ილეცკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 ვერსზე გამაგრებული ხაზი ავიღეთ. მტერი თავზარდაცემული სამხრეთისაკენ გაიქცა. ორენბურგთან აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ შეტევას ვაძლიერებთ. ბუგულჩანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 65 ვერსის მანძილზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ. ჩრდილო-აღმოსავლეთით შეტევას განვაგრძობთ. ვერხნეურალსკიდან 70 ვერსის მანძილზე 1 სოფელი ავიღეთ. ტროიცკ ურსკა და ტროიცკ-კუსტანაიას რკინის გასწვრივ ჩვენ მარჯვენა წინ მივიწევთ. ჩელიაბინსკის რაიონში მდ. ტობოლს 25 ვერსით დაუახლოვდით. ჩვენმა ჯარმა კურგანი აიღო. ტყვედ წამოყვანილთა რიცხვი და ნადავლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის. უკან დახეულმა მტერმა ვერ მოასწრო ტობოლზე რკინის გზის ხიდის აფეთქება. შადრინის რაიონში შეტევას განვაგრძობთ. იალუტოროვსკის დასავლეთით რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ.

„იზვესტია“ მოწინავე.

მოსკოვი. აგვ. 17. „იზვესტიას“ მოწინავე წერილში აღნიშნულია, რომ მოკავშირეები ხელ-ახლად აპირებენ რუსეთის საქმეებში ჩარევას. საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მუშების გაფიცვები, რომელიც 21 ივლისისათვის იყო დანიშნული, არ შესდგა და ამან ჩარევის მომხრეებს ფრთები შეასხა. პირველი ნაბიჯი იყო— უნგრეთში საბჭოთა მთავრობის დამხობა. მოკავშირეებს იმედი აქვთ, რომ ასევე ადვილად მორჩებიან რუსეთის საქმეს. საბჭოთა რუსეთის შევიწროვება ძლიერდება. მართალია, უცხოეთის რადიო იუწყება, რომ ჩრდილოეთიდან ინგლისის ჯარი გაჰყავთ, მეორეს მხრით, ასკვიტმა განაცხადა, რომ არ შეიძლება რუსეთში ინგლისის ახალი ჯარები იქმნას გაგზავნილი. ეს ცნობები რომ მართალიც იყოს, მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ინგლისელები სხვისი ხელით სცდილობენ საქმის გაკეთებას. ამის რამდენიმე მაგალითია. დენიკინს სამხრეთში გამარჯვებას მოჰყვა ინგლისელების და ფრანგების „გავლენის სფერო“. შემდეგ ლიონიდან იუწყებიან, რომ კოლჩაკი ინგლისელების და ამერიკის იარაღის დახმარებით ახალი შეტევისთვის ემზადებიან. ამას გარდა თუ რიგის გაზეთებს დავუჯერებთ, ფინეთის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს მოკავშირეებთან პეტროგრადზე თავდასხმის ფასის შესახებ. ამას წინად ასკვიტმა განაცხადა, რომ რუსეთში ყოველ დღე იღვრება ინგლისელთა სისხლი და ინგლისის კაპიტალი იხარჯება. ეხლა ასეთ ავტორიტეტულ პირის სიტყვებიდან ვიცით თუ ვისი ფულება და სად აღვივებენ სამოქალაქო ომს. ეს მოკავშირე იმპერიალისტების საქმეს ვერ უშველის. საქმეში მათი ახალი ჩარევა დასრულდება ახალი ფიასკოთი. წერილს ხელს აწერს სტეკლოვი.

მოსკოვი. (გაგრძელება) ბალაშოვის სამხრეთ-დასავლეთით 3—5 ვერსის მანძილზე მკაცრი ბრძოლაა.

ბოლშევიკური ცნობები.

ანრი-გილბო, წერილში: „ბოლშევიზმის გავლენა საფრანგეთზე“ სწერს, რომ საფრანგეთის ხალხი იმდენად დაინტერესდა ბოლშევიზმით, რომ 130 დეპუტატმა პალატაში წინადადება შეიტანა შეადგინონ პარლამენტის გარეშე კომისია „ბოლშევიზმის ეკონომიურ და პოლიტიკურ მეთოდის შედეგების შესასწავლად“.

ველიკიე-ლუკი. აგვ. 15. ველიკიე ლუკის სასურსათო კომისარს კომუნისტს ივანოვს ხალხის ქონების გაფლანგვის გამო სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. ზოგიერთ ადგილებში გლეხები მობილიზაციის გამოცხადების გამო დაიმალნენ. გლეხებს უიარაღოთ გზავნიან პოზიციებზე.

პენზა. აგვ. 16. ფრონტიდან დაბრუნებული პოლიტიკური მოღვაწეები აღნიშნავენ №-ის არმიის ბრიგადის არაჩვეულებრივ სიმტკიცეს, სიმამაცეს და თავდადებულებას. ბრიგადა წითელ ყაზახებისაგან შესდგება. წითელი ყაზახები მოუთმენლად მოელიან შეტევის დაწყებას. ბრიგადას დენიკინის ჯარი განსაკუთრებულ სიძულვილით უცქერის.

პენზა. აგვ. 16. დონზე ქაღალდის დიდი კრიზისია. გაზეთების უმეტესი ნაწილი ყვითელ ქაღალდზე იბეჭდება

ჩვენ მხარეზე გადმოსულ ოფიცერთა სიტყვით, ჩვენმა მამაცმა №-ის დივიზიამ უკანასკნელ ბრძოლის დროს მტრის 3 დივიზია დაამარცხა. ეს დივიზია ბრძოლის შემდეგ კიდევ მოითხოვს შეტევის გაგრძელებას.

პენზა, აგვ. 16. ყუბანის რადამ იმის შიშით, რომ დენიკინმა არ ჩაიგდოს ძალა უფლება ხელში, ყუბანის მცხოვრებთაგან ყუბანის არმიის შედგენა დაიწყო. დენიკინი ამას ხელს უშლის, რადგან ჯარის დანაწილების ეშინია.

ლიონი. აგვ. 16. ერცჰერცოგ იოსების მიერ ბუდაპეშტში მოხდენილმა გადატრიალებამ პრაღაში მონარქისტული შეთქმულება აღმოაჩინა. ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა ტუსარმა განაცხადა, რომ ჩეხო-სლოვაკია სხვა ხალხის შინაურ საქმეებში არ ჩაერევა. ვენაში, მალცბურგში, გრაცში და სხვა ქალაქებში მოხდა დემონსტრაციები რესპუბლიკანურ წესწყობილების სასარგებლოდ!

ლიონი. აგვ. 16. ბერლინის გაზეთ „აშ მიტაგ“ იუწყება, რომ სამხრეთ სლავიანთა ჯარი დასავლეთ უნგრეთში შესვლას განაგრძობს. უნგრეთის ჯარს ნაბრძანები აქვს მათ წინააღმდეგობა არ გაუწიოს. როგორც ვენიდან იუწყებიან, ერცჰერცოგმა იოსებმა აღიარა, რომ მისი პიროვნება ძალიან აბრკოლებს უნგრეთის ხალხის გაერთიანებას და განაცხადა, რომ როგორც კი შესდგება კონსტიტუციონური მთავრობა, ის მაშინვე გადადგება. ამასვე მოითხოვს მოკავშირეთა კომისია, რათა პასუხისმგებელ მთავრობასთან დადოს ხელშეკრულება. ერცჰერცოგმა იცის, რომ მთავრობაში თავისი შესვლის აუცილებელ პირობად სოციალისტები მის გადაყენებას მოითხოვენ. იოსებისადმი საერთო უკმაყოფილება სხვათა შორის გააძლიერა ყოფილ იმპერატორის კარლოსის წერილმა. ბევრი ფიქრობს, რომ ეს წერილი კარლოსმა იოსების თხოვნით დასწერა, მაგრამ ვიღაცას წინდაუხედაობით ძალიან ადრე გამოაქვეყნეს.

მოსკოვი, აგვ. 16. (ც. ა. ქ. ბ. ბ. ბიულეტენი.

სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. ჩრდილოეთის დვინის მიმართ ჩვენმა ჯარმა 5 ვერსით უკან დაიხია.

დასავლეთის ფრონტი. კოროლის ყელზე ბელოსტროვის ჩრდილო აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. პსკოვის რაიონში ბრძოლაა. რკინის გზის რაიონში ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიჭირა.

სამხრეთის ფრონტი. მინსკის რაიონში მდ. სლუჩზე ჩვენი ჯარი იბრძვის. ზენკოვის მიმართ. მდ. პსიოლზე მტერი გადმოსვლას შეეცადა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. სუმა-ბელგოროდის მიმართ. ჩვენ ქალ. სუჯი დავსტოვეთ. კურსკ ბელგოროდის მიმართ. ჩვენი ჯარი იბრძვის. ბელგოროდის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბორისოგლებსკის ჩრდილო - დასავლეთით 16 ვერსზე სადგ. გრიბანოვკა დაიჭირა. კრასნოიარის და კამიშინის მიმართ. ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. კამიშინის ჩრდილოეთით 70 ვერსზე ბრძოლის დროს ჩვენ 1000 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ 80 ტყვიის-მფრქვეველი, 200 ფურგონი და სხვა მრავალი სამხედრო სამხედრო მასალა.

№-ის არმიის შტაბი. პსკოვის რაიონში ჩვენი ჯარი მტერს წინააღმდეგობას უწევს, შეტევას განაგრძობს და ბრძოლით წინ მიიწევს პსკოვის სამხრეთით ჩვენ შეტევაზე გადავედით. მტრის ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც სად. ლოკოტს უახლოვდებოდა, უკუ ვაგდეთ. შარენბურგის მიმართ. მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პოდლუსას რაიონში.

ჩვენ დაახლოებით ვერს ნახევარით უკან დავიხიეთ

ვორონეჟი, აგვ 15. იუწყებიან, რომ დონის როსტოვში კომუნისტური პარტიის წევრები მუშებში ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ. ყუბანის ორმა პოლკმა ფრონტზე წასვლაზე და დენიკინის სარდლობის მორჩილებაზე უარი განაცხადა.

ნაუენი, აგვ. 15. უკანასკნელი ცნობით, ზემო სილეზიაში ქვანახშირის მაღაროს მუშების გაფიცვები ძლიერდება და ეხლა მთელ რაიონს მოედო. მაღაროების 90 პროც. არ მუშაობს.

ნაუენი, აგვისტოს 15. ბუდაპეშტიდან მოსული უკანასკნელი ცნობებით, ნოვაში კაბინეტი უკანასკნელ ჟამს გადადგა. სოც.-დემ. მოულოდნელად განაცხადეს, რომ ამ მთავრობაში მათ არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა რადგან მათ საკმარისი გარანტია არა აქვთ, რომ მთავრობა დემოკრატიული იქნება. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ დაიწყეს მათი დევნა, ვისაც ოდესმე რამე კავშირი ჰქონია საბჭოთა მთავრობასთან, დააპატიმრეს ისეთი პირები, რომელთაც სერიოზული დანაშაულება არაფერი ჩაუდენიათ დაპატიმრებულთა რიცხვში მრავალი დედაკაცი და ახალგაზრდა ქალია, რომლებიც საბჭოთა მთავრობის სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდნენ. განსაკუთრებით ახალი მთავრობის მიმართ უკმაყოფილება გამოიწვია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის დაპატიმრებამ.

სეგედინის მთავრობის ვაჭრობის მინისტრი ვარიასსი უნგრეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ბუდაპეშტში მოვიდა! მოვიდნენ აგრეთვე საფრანგეთის აღმოსავლეთის ჯარის გენერალური შტაბის უფროსი პოლკოვნიკი დოსსი და მრავალი ფრანგი ოფიცრები.

ნაუენი. აგვ. 15. ბუდაპეშტიდან იუწყებიან, 6 კვირის შემდეგ მოხდება არჩევნები. სოციალ-დემოკრატიული პრესა კაბინეტის შემადგენლობას კიცხავს და აღნიშნავს, რომ მან სეგედინის მონარქისტულ მთავრობასთან უკვე კავშირი დაიჭირა.

ნაუენი. აგვ. 15. ვენიდან მოსული ცნობით, მოკავშირეებს სურთ უნგრეთის საქმეს კონტროლი გაუკეთონ და ამ მიზნით რუმინიას მანდატს აძლევენ. ამ ცნობამ ბუდაპეშტში დიდი მღელვარება გამოიწვია ოფიციალური ცნობებით, უნგრეთში სურსათის კატასტროფას მოელიან. ცნობამ იმის შესახებ, რომ მოკავშირეებმა რუმინელებს მიანდვეს უნგრეთის პოლიტიკის თვალყურის დევნება, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მოკავშირეების პრესტიჟი შეამცირა.

ნაუენი, აგვ. 15. ავსტრიის სასახლის წრეებში მოკავშირეების გეგმას, რომ ავსტრიის ტახტზე ახალგაზრდა ერცჰერცოგი, ყოფილ მეფე კარლის შვილი ოტტო აიყვანონ, მხარს უჭერენ. ამ გეგმას მხარს უჭერენ აგრეთვე კლერიკლები და ქრისტიანი სოციალისტები. „ტაგებლატი“-ახალ კაბინეტის დაარსებას რეაქციის გამარჯვებას უწოდებს, რადგან მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრი ნოვაში ეკუთვნის ზომიერ ბურჟუაზიულ წრეს. განათლების მინისტრი გუსარი და მზრუნველობის მალერი ორივე კლერიკლები არიან. მიწადმოქმედების მინისტრი რუბინსკი უნგრეთის მემამულეთა ბელადია. ეს დანიშვნა იმის მაჩვენებელია, რომ მემამულეთა და არა გლეხთა ინტერესები იქნება მთავრობისაგან დაცული. ვაჭრობის მინისტრი ჰეინრიხი ეკუთვნის ბუდაპეშტის თვალსაჩინო ბურჟუაზიულ ოჯახს. ნოვაში კაბინეტში შესვლაზე დათანხმდა მხოლოდ იმისთვის, რომ ერცჰერცოგის წარმომადგენლებს ხელი შეუშალოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში გაბატონებაში. ახალი კაბინეტის მთავარი მომხრეები არიან ქრისტიანი სოციალისტები, რომლებიც თავის ანტისემიტიზმით ცნობილნი არიან.

ლიონი. აგვ 16. უნგრეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ პროკურატურას მიეწერილობა გაეგზავნა ბელა-კუნის და მისი ამხანაგების საწინააღმდეგოდ სისხლის სამართლის გამოძიება აწარმოოს. პოლიციის ბრძანება გაეგზავნა, დააპატიმრეს ყველა კომუნისტები, რომლებიც უნგრეთში იმყოფებიან.

ნაუენი. აგვ. 15. მდგომარეობა აღმოსავლეთ ანატოლიაში, რომელიც, გადაწყვეტილია, სომხეთის რესპუბლიკას შეუერთდეს ძლიერ გამწვავდა.

კუნძულ კიპროს საბერძნეთს აძლევენ.

ჰელსინგფორსი აგვ. 13. პარიზიდან მოსული დეპეშის თანახმად, ინგლისმა დაადგინა, კუნძული კიპროსი საბერძნეთს გადაეცეს.

უმაღლეს საბჭოში.

ლიონი, აგვ. 14. უმაღლესი საბჭო შეწუხებულია უნგრეთის მდგომარეობით და იმ პოზიციით, რომელიც ანტანტამ უნდა დაიჭიროს ერცჰერცოგის მიმართ, ამდენხანს უმაღლეს საბჭოს რუმინიის მთავრობისაგან არ მიუღია იმ ნოტის პასუხი, რომელიც გაუგზავნა მას თხოვნით, რომ ბუდაპეშტი დაეტოვებინა. საზავო კონფერენციის ჩეხო-სლოვაკთა დელეგაციამ ბუდაპეშტის ოკუპაციის გამო პროტესტი განაცხადა.

თავად კირილეს განცხადება

ნაუენი. აგვ. 14. „მატენ“-ში დაბეჭდილი განცხადება ყოფილ თავად კირილისა, რომლის აზრით რუსეთის საქმეებში ჩარევაზე მოკავშირეთა უარი საქმეს იქამდე მიიყვანს, რომ რუსეთი გერმანიის ხელში ჩავარდება, გერმანია კი ამას დიდი ხანია მოელოდა, გერმანიის გავლენიანი წრეები ისე ხსნიან როგორც ერთგვარი განწყობილების შექმნისაგან მიმართულ ცდას. გერმანიას არ სურს და არც საშუალება აქვს ჩაერიოს პოლიტიკის საჭიროებლად.

იტალიური პრესა

გაფიცვა ესპანეთში.

ლისაბონში რკინის გზის მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს. სადგ. სანტო-აპოლონიაში ყუმბარები ისროლეს. 5 გაფიცული დააპატიმრეს. მათ აღმოაჩნდათ ლისაბონის სწრაფი მატარებლის ლიანდაგიდან გადაგდების გეგმა.

ლიუქსემბურგის ამბები

მართლდება ცნობები ლიუქსემბურგის საჰერცოგოს სატახტო ქალაქში მომხდარ ამბების შესახებ. ბრბო შეიჭრა დეპუტატთა პალატაში, სადაც რამდენიმეჯერ გაისროლეს.

საქართველო
1801-1820 წ.წ.

(ისტორიული მიმოხილვა).

გიორგი მე-XIII მეფობამ მოუსპო საქართველოს თვით არსებობის ჩარხი და ფაქტიურად დაუკავშირა რუსეთს. რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა, გარდაიცვლებოდა თუ არა გიორგი მეფე საქართველო ტახტი გაეუქმებინა და უბრალო გუბერნიად გადაეკეთებინა. გიორგი მეფის კარზე რუსეთმა „სტატსკი სოვეტნიკი“ კოვალენსკი დანიშნა საქართველოს შინაური საქმეები თვალყურის სადევნებლად, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს დაღუპვის საქმეს. არა ნაკლებ სამსახურს უწევდა რუსის მთავრობას სამშობლოს გამყიდველი ელჩი გარსევან ჭავჭავაძე, რომელიც მოსყიდული იყო რუსის მთავრობისაგან და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა როგორმე სამშობლოსთვის თვით არსებობის დღეები საჩქაროდ მოესპო.

კოვალენსკი ჩამოვიდა საქართველოში აპრილის 16-ს 1799 წელს. ეს კოვალენსკი ერთი იმ რუსების მოხელეთაგანი იყო, რომელთაც იმ დროში გზავნიდნენ საქართველოში—კაცი ვერაგი, გაუთლელი და ყოველივე პატიოსნებას მოკლებული. კოვალენსკიმ თბილისში დიდ ძალი ძვირფასი ნივთები ჩამოუტანა გიორგი მეფეს, დედოფალ მარიამს და ტახტის მემკვიდრეს დავითს, ყველა ნივთები რუსის იმპერატორის პავლეს I-ისაგან იყო ნაბოძები.

კოვალენსკიმ ჩამოსვლის პირველ დღესვე გააკვირვა ქართველი საზოგადოება თავისი უზრდელი მოქცევით. ის ვალდებული იყო ჩამოსვლისათანავე გამოცხადებოდა მეფე გიორგის, მაგრამ ეს მან არ ინება. ჩამოვიდა და სახლში იჯდა, გარედ არ გამოდიოდა. ყველას უკვირდა და ვერ გაეგო, თუ რას ჩადიოდა კოვალენსკი. ვერც გიორგი მეფე გაეგო კოვალენსკის სახლში ჯდომის მიზეზი, რამდენჯერმე კაციც კი გაუგზავნა ამბის გასაგებად მინისტრი ხომ ავად არ არისო. ბოლოს კოვალენსკიმ გადასწყვიტა, მეფეს წარსდგომოდა, წინდაწინ კაცი გაუგზავნა მეფეს და უდიერად შეუთვალა მისთვის ცალკე სავარძელი მოემზადებინათ.

კოვალენსკი მეფეს წარუდგა უბრალო სამგზავრო ტანისამოსში გამოწყობილი—მტვრიანი და ჭუჭყიანი. ტანზედ უბრალო თბილი ქურქი ეცვა, ფეხებზედ თბილი ჩექმები, თავზედაც ძველი თბილი ქუდი ეხურა. მისმა ჩაცმულობამ ყველა გააკვირვა. სასახლეში კოვალენსკი მისთვის მომზადებულ სავარძელში ჩაჯდა, ისე ახლოს მეფესთან, რომ თავის ფეხებს მეფის ფეხებს აბჯენდებოდა.

გიორგი მეფე მეტად ნაწყენი დარჩა კოვალენსკის ასეთი თავხედურ მოქცევით. დედოფალსაც ასეთივე გამოწყობილი წარუდგა კოვალენსკი და იქ კიდევ უფრო უზრდელობა გამოიჩინა. როდესაც საუზმის დრო მოახლოვდა, მან უცერემონიოდ წამოიძახა: „Пришелъ адмиральскій часъ“, და არაყი მოითხოვა. საუზმის დროს კოვალენსკის თავი მეტად უზრდელად და თავხედად ეჭირა. თბილისში დაბინავებისთანავე კოვალენსკიმ ალვირი ახსნა და საქართველოს საქმეებს თავის გემოზე დაუწყო ტრიალი. მან რუსეთიდან თავისებური მოხელეები გამოიწვია, უფრო თავისი ნათესაობა-მეგობრები და საუკეთესო ადგილები მათ დაურიგა.

აი ამისთანა რუსის მოხელეებს ჩაუვარდა საქართველო თავიდანვე ხელში და რა სიკეთე უნდა ექმნათ ჩვენ ბედშავი ქვეყნისათვის. რუსის მოხელეები ბოლოს ისე გაიწევნენ თავიანთ საქმეებში, რომ ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ. საქართველო მათ საბურთაოლოდ გახდა და მეფე გიორგის ანგარიშს არვინ უწევდა.

1799 წელს 26 ნოემბერს თბილისში მოვიდა რუსის ეგერის პოლკი გენერალი ლაზარევის უფროსობით და 1800 წელს აგვისტოში ამ პოლკს მაშველად კიდევ მოვიდა მეორე რუსის პოლკი (კობარდინის მუშკეტერის) გენერალი გულიაკოვის უფროსობით.

რუსის პოლკების მოსვლას გიორგი მეფე დიდის ზეიმით შეხვდა, ის კი არ იცოდა არ გრძნობდა, რომ ეს ზეიმი საქართველოს თავისუფლების დამარხვის ზეიმი იყო.

როდესაც ლაზარევი გაეცნო საქართველოს [illegible] მდგომარეობას, მან დაინახა, რომ ფაქტიურად კოვალენსკი განაგებდა საქმეებს, შეშურდა მას მისი ასეთი თბილი ადგილი და თვითონ მოისურვა მისი უფლებების ხელში ჩაგდება. ამან გამოიწვია მათ შორის განხეთქილება და უსიამოვნება. ჩვენი სატახტო ქალაქი ორ რუსის გათახსირებულ მოხელის საბრძოლო მოედნად გადაიქცა. მათ გარემოებაც ხელს უწყობდათ. გიორგი მეფე დაავადმყოფებული იყო, სახელმწიფო საქმეებს თავს ვერ ართმევდა, და მის სასახლეში შინაურმა განხეთქილებამ ყოველის წერტილამდე მიაღწია. ამ დროსვე თბილისზე თავდასხმას აპირებდნენ სპარსელები და სწორედ ამ გამწვავებულ დროს შექმნათ კოვალენსკისა და ლაზარევს ერთმანეთში დავა.

კოვალენსკის უნდოდა მარტო ყოფილიყო საქართველოს ბატონ-პატრონი, ამისათვის თავის მთავრობას სთხოვდა მიეცათ მისთვის სამხედრო ჩინი პოლკოვნიკისა და მაშინ ის ადვილად შესძლებდა, როგორც სამოქალაქო საქმეების გაძღოლას აგრეთვე სამხედროსაც. გენერალი ლაზარევი როგორც ჯარების უფროსი არ ემორჩილებოდა მას და ეს კი მისი ფიქრით საზოგადო საქმეებს აფერხებდა.

გიორგის XII დღენი დათვლილი იყო, მის სიკვდილს დღითი დღე ელოდენ. ბატონიშვილთ არ ეძინათ და ტახტის მემკვიდრეობისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ. გიორგის შემდეგ ტახტის მემკვიდრედ თანახმად მეფე ირაკლის ანდერძისა ითვლებოდა ბატონიშვილი იულონი, მაგრამ გიორგი მეფემ ეს ანდერძი დაარღვია და თავისი მეუღლის შთაგონებით ტახტის მემკვიდრედ თავისი შვილი დავითი დანიშნა და სწორედ ამათ—ბიძასა და ძმის წულს ჰქონდათ დავა და თვითეული მათგანი ცდილობდა მომეტებული მომხრეები ჰყოლოდათ.

ეს შინაური განხეთქილება და კინკლაობა მეტად ხელსაყრელი იყო რუსის მოხელეებისათვის და ისინიც ხელს უწყობდნენ ბატონიშვილების ჩხუბს და ამით ნიადაგს უმზადებდნენ საქართველოს ტახტის გაუქმებას.

საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები და სახანოები ხედავდენ რა რომ საქართველო რუსეთს უნდა დაკავშირებოდა მეტად ნაწყენი დანარჩენ და ყოველ ღონის ძიებას ხმარობდნენ, რომ საქართველო რუსეთს არ დაკავშირებოდა. სპარსეთის შაჰის ბაბა-ხანის შვილი აბას მირზა კიდევაც მოადგა საქართველოს საზღვრებს თავისი ჯარით და გიორგი მეფეს მუქარას უთვლიდა. ავადმყოფ გიორგის შინაური განხეთქილება ვერ მოესპო და გარეშე მტერთან საბრძოლად საიდან ჰქონდა თავი, ამ ამბავმა სიცოცხლის უნარი სრულიად მოუსპო.

28 დეკემბერს 1800 წ. ღამის 11 საათზე გარდაიცვალა გიორგი XII მეფე ქართლისა და კახეთისა და აგრეთვე საქართველოს ტახტის არსებობის დღე.

პეტროგრადში ადრევე იყო გადაწყვეტილი, რომ გიორგის სიკვდილის შემდეგ საქართველოს ტახტი უნდა გაუქმებულიყო, ეს კარგად იცოდა რუსის ჯარების უფროსმა გენ. ლაზარევმა და ამისთვის მზად იყო, რომ ზომები მიეღო გიორგის სიკვდილის შემდეგ ტახტზედ არავინ ასულიყო.

როგორც კი გარდაიცვალა გიორგი მეფე, გენერალმა ლაზარევმა მაშინვე აცნობა ბატონიშვილებს, რომ საქართველოს ტახტი არავის დაეჭირა სანამ პეტროგრადიდან არ მოვიდოდა ნებართვა. მანამ კი ყოველივე ბრძანება ხელმოწერილი იქნება და ბეჭედ დაკრული ბატონიშვილის იოანესაგან, ეგნატე მღვდელისაგან და ჩემგანო.

„ერთ დრომდის ყველა ვალდებულნი ხართ პატივისცემით მოეპყრათ სამეფო სახლსო“ სწერდა იგი ბატონიშვილებს.

ლაზარევმა კარგად იცოდა თუ რა ბრძანება მოვიდოდა პეტროგრადიდან, ის დარწმუნებული იყო, რომ ტახტზედ მეტი ვეღარ ავიდოდა.

გიორგი მეფე დაასაფლავეს 20 თებერვალს 1801 წ. დიდის ცერემონიით. როდესაც სამგლოვიარო პროცესია ვერის გასცდა რუსის არტილერიამ 31-ჯერ გაისროლა ზარბაზნებიდან:

ავქსენტი ამხაძე

(შემდეგი იქნება).

ქართლში

მცხეთა. გორი. ხაშური. სურამი. ბორჯომი.

წლიურ შრომით მოღალულს შელარა მატარებელში ჩაჯდომა. საშინელი პაპანაქება იყო, მეტადრე წინა დღეებში. დაიძრა ორთქლმავალი და თანდათან ჰაერსაც შეეტყო სიგრილე, ხაშურში ხომ კიდეც აცივდა, ყანები ყველგან დაემკოთ და ახლა ზიდავდნენ კალოებზე, ზოგან უკვე ლეწავდნენ. საქართველოს დიდა ქალაქი მცხეთაც მუშაობდა, ლეწავდა, საზამთროდ ემზადებოდა. გორში ჩიოდნენ, სიცხემ ვენახები გადაბუგაო. ამასვე შეუწნებოდა ატენის მემამულე ი. ელიაშვილი: ისე დამეწვა ვენახი, რომ ფოთოლთან ერთად მტევანიც ჩამოცვივდა და 120000-მდე მანეთის შემოსავლის მოიმედეს სულ ხელი დამაბანინაო. ხაშურს და მის იქით ვენახს თითქო კი პირი უჩანს. აქა-იქ ჩიოდნენ, კალოს კი გამოსავალი არა აქვსო. ყველაფრის სიძვირეა ყველგან. პური, ხილი, ყველი, ღვინო მამა-სისხლად ფასობს. ქვლავ ვენაზე თვალუწვდენელი მინდვრები ხაშურ სურამ ქვიშხეთ შორისი. სიმინდები ლაპაზად აქჩრილან, ლაობენ. დამკილებში მოფენილია ნახირები, კოლოები, ფარები. აქა-იქ მოისმის სოფლის მწყემსის სალამური. კოხტა და ლამაზი სოფლები მოფანტულან გორის ძირებსა ფერდობებში. ჰაეროვან ქვიშხეთიდანვე იწყება ვიწრო ხეობა, ყელი, სადაც მოჩუხჩუხებს მარად მოდუდუნე ჩვენი მტკვარი. ხეობას მარცხნივ აჭყუდებიან ტყიანი ტაროს მთები, მარჯვნივ—ტრიალეთი. აქეთ-იქითი მთა-გრეხილები ხან უახლოვდებიან ერთმანეთს 1—2 საჟენის მანძილზე, ხან იწევიან უკან, იშლებიან და აძლევენ კაცს შეძლებას ამ გაშლილ ღელეებში დაბინავდეს, გაიშენოს სოფელი. ამისთანა ბორჯომამდე რამდენიმეა, ყვიბისი, ახალდაბა, კარტანეთი. ადგილმდებარეობა მართლაც

სულ დაკორტნილია, ლაღა-ლუღა, წმინდა კორტანეთი. გზა-კვალს ნუ იკითხავთ, ან ეზოჟურს. მიკვირს, როგორ ცხოვრობენ ამ სივიწროეში, ამ კლარჯულობაში. თვით რკინის გზა მიდის მტკვრის პირპირ. ზოგან ისე ვიწროა სავალი, გვონია, აგერ-აგერ წყალში შესტოპავსო. ბორჯომიდამ იწყება ვიწრო ლიანდაგიანი გზა ბაკურიანისკენ. ჩვენ ამ ხელად იქ წასვლა ვერ მოგვიხდა. საკმაოდ ცოტა წასვლა ზაფხულის ტანისამოსით არ გვირჩიეს. მივედით ავრედ წოდებულს ბორჯომის პარკშიაც. ლამაზი სახლები მრავლად, დიდრონი და კოხტა ბაღები, შუაში მოჩხრიალებს ანკარა ხევი ბორჯომისა, მოდის გამალებით, მოლიკლიკებს. ჰაერი ყველგან შესანიშნავია. მთა და ღელეები ნაძვის, ფიჭვის და სხ. მცენარით დაბურულია. ვნახეთ თვით ლამაზად მოწყობილი პარკიც თავის ელექტრონის სადგურით, საბანებლებით. გვიხელით ბორჯომის სამკურნალო წყალიც. ჩვენი ყურადღება აქ მიიქცია წყლის გრძელ საქანელმა: კლდეებზე შორ მაღლიდამ დაქანდება-რა მთის წყარო, მოდის სეტყვ თოვლივით თეთრად აქაფებული და ძირს შეერევა ბორჯომის ხევს. წინან ცოცხალი და დამოუკიდებელი აწ ემონება სხვას, თავისზე უდიდესს. ამას იქით დაგროვილა უწინდელი ქვა-ქანდაკებანი: ცხვრები, ლომები და სხ. საზოგადოდ, ბორჯომში დიდი სივიწროეა: მთა-მთას მისწოლია და ადამიანსაც გაწვება გულზე. თანაც დიდი სიძვირეა. მიუხედავად ამისა, აქაური ჰავა, ნაძვ-ფიჭვნარის სურნელება იზიდავს ადამიანს. წლეულს საკმაოდ ბევრი მოაგარაკეა, მათ შორის საქართველოს უნივერსიტეტის რექტორიც, პ. მელიქიშვილი, რომელსაც ბინა აქვს მეფე ყოფილთა სასახლეში. ჩვენ დიდხანს ვერ გავძელით აქ: აქაურ სივიწროეს ვამჯობინეთ გაშლილი ხაშურ-სურამში და აქეთ გავეშურენით. ჰაეროვნება სურამისა, მშვენიერი სახლეულება უნებლიედ იზიდავენ კაცს სურამისაკენ. დაბა სუფთაა, კოხტა სახლებით, თავის რკინის გზით. აქვეა ხომ დევი-ქმნილება, სურამის ციხე, რომელიც ჩვენ კვლავ დავათვალიერეთ და ვისიამოვნეთ მის საკვირველ გადმოსახედავით ხაშურ-თრიალეთისკენ. სურამს საკუთარი გიმნაზია არა აქვს და მისი ბალღობა სწავლობს ხაშურში, რომელიც პირველს შორავს რაღაც ვერსითა თუ ვერს-ნახევრით. კარგი იქნებოდა სურამელებს სურამ-ხაშურ შორის გზის პირებზე დაერგათ კაკლის ხეები, რომ მათ ჩრდილში ესიამოვნათ მგზავრობის დროს. სურამში ვნახეთ საგარეჯოდ მოსული ეპისკოპოსი დავითი. იგი დაბინავებულა ქრ. ციცქიშვილის სახლში. ჰაერი აქ მეტად ნარნარია, მსუბუქი, საწადისი. ქართველობა ყველგან საქართველოს ბედზე მოუბნობს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის თავისუფლებაზე. იმ დენად ძვალ-რბილში გასჯდომია სამშობლო ქვეყნის დამოუკიდებლობის აზრი, რომ იმას სხვა საგანზე ლაპარაკი თითქო ეზარება კიდეც. „რა ამბავია? იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა? რას იწერებიან ჩვენი, წერეთელი?"...

ამისთანა კითხვებით მხვდება ხალხი ტფილისიდან მოსულს...

მ. ჯანაშვილი.

კორესპონდენცია

წერილი ხევიდან.

კარგა ხანია რაც ხევზე ქართველმა საზოგადოებამ გაზეთებიდან არ იცის რა. ეს კუთხე, ღვთის ანაბარად მიგდებული მარტო ცხოვრობს და ამ ცოტა ხანში მრავალი საგულისხმიერო ამბავი მოხდა, რაც აუცილებლივ ქართველმა მკითხველმა უნდა იცოდეს. პირველი უბედურება ის დაატყდა თავს ჩვენს მთის ხალხსა რომ განვლილ ზამთარში, როცა კავკავიდან გამოქცეული 4,000 ბოლშევიკი ჩვენს მიდამოებს მოაწყდა ს. სტეფანწმინდაში შეაფარა თავი. იქ ორი დღე და ღამე სახლებში, დუქნებში და ფოსტის სადგურში სახადით ავადმყოფები თავს აფარებდნენ. ამათ წასვლას უმალ გაჩნდა ეს საშინელი სენი სოფლებს და დღემდე მრავალი ოჯახის საუკეთესო მშრომელი, კაცი და ქალი გამოასალმა წუთი სოფელს. მრავალი ოჯახობა პირქვე დაეცა, მრავალი შოშველი და სრულიად ულუკმა-პუროდ პატარა ობლები და უძლური მოხუცებულები, არიან ღვთისა და ნათესავების იმედზე. ხევ-მთიულეთის ხალხი მრავალ გაჭირვებას განიცდის, ერთი მხრივ შიმშილს და სიშიშვლეს, ლა მეორე მხრივ მთელი ოჯახის წევრთა სნეულებას და სიკვდილობას. მე წინა წერილში ვსწერდი და შემდეგ დეპეშაც გაუგზავნე გაზ. „საქართველოს"*) რომელშიც ავღნიშნე, რომ მთის ხალხი მთიულ გუდამაყრელი ოსი და მოხევე შიმშილის გამო ცოლ-შვილით კავკავისკენ იხიზნებიან მეთქი.

ეხლა აქ მკა არის, და მკას როცა მორჩებიან მრავალი ოჯახი კავკავის და მის მახლობელ ყაზახთა „სტანიცებში" გადასახლებას აპირობს, რომ იქ პური დღიურად დაიმუშაონ და ცოლ-შვილი გამოკვებონ. საკვირველი ის არის, რომ ჩვენს საშველად მთავრობა არც წამალს და ექიმს სნეულთათვის გვიგზავნის, არც დამშეულთათვის ფასად პურს გვაწვდენს საიმე, თუმცა იმედს ბევრს გვაძლევდნენ იმერეთით სიმინდს მოგაწვდითო, საზღვარ გარედან იმდენი პური მოგვივიდა რომ საწყობები აღარ იტევსო—თბილისშიო. საქართველოში მოსავალი იმდენია, რომ შვიდ წელიწადში რომ არ მოგვხნათ პური არ დაგვაკლდებაო და ასე გვანუგეშებენ. არც იმდენი იზრუნეს ჩვენთვის რომ კავკავის გზა როგორმე გაეხსნათ სურსათის მოსატანად, რაც მთის ხალხს ეყოფოდა და ამისი სამაგიერო საქართველოდან მათთვის მიეცა. პურის და სნეულთათვის წამალ-ექიმი და დასტაქართა მოშველების მაგიერ, ღვთის წინაშე მჭევრ აგიტატორებს ბევრს გვიგზავნიან, ესენი ხალხს ურიგებენ დიდძალს ბროშიურებს, პროკლამაციებს და ლანძღვით იკლებენ მოწინაალმდეგე პარტიებს.

კალმისწვერი.

---

*) ეს დეპეშა თავის დროზე დაიბეჭდა. რედ.

ბიბლიოგრაფია

არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების კრებული. სისტემატიური კურსი უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლისა და გიმნაზიის I კლასისათვის. ლონ. ჩიმაკაძისა, ანდ. შუბლაძისა და ემ. ცაგარეიშვილის მიერ შედგენილი. ქუთაისი 1918 წ. წიგნის გამომცემლობა „სკოლა". ფასი 4 მანეთი.

ავტორნი კრებულის წინასიტყვაობაში სამართლიანად აღნიშნავენ არითმეტიკულ მასალის ახალ დალაგების საჭიროებას. მართლაც და პედაგოგიური თვალსაზრისით საჭიროა სწრაფი გადაკეთება მოხდეს არითმეტიკულ მასალისა, მაგრამ არა ისე, როგორც ეს ავტორებს ჰგონიათ. მართალია ათწილადი ნაწევარი ჩვეულებრივ ნაწევარის წინ უნდა გავიაროთ, როგორც უფრო მარტივი და სადვილო, მაგრამ რთული სახელდებული რიცხვების გადატანა ჩვეულებრივ ნაწევარის შემდეგ, როგორც ავტორნი გვირჩევენ, არც პედაგოგიურია და არც საჭირო. რთულ სახელდებულ რიცხვებზე ყოველივე მოქმედება ისე სწარმოებს, როგორც მთელ რიცხვებზე, მაგ. (5 ფ.+2 გ.)+(3 ფ.+15 გირ.); აქ გირვანქები გირვანქებს უნდა მივუმატოთ და ფუთები ფუთებს, (როგორც რთულ რიცხვებში ერთეულები ერთეულს უნდა მივუმატოთ და ათეულები ათეულებს) და შემდეგ თუ საჭიროა მოვახდინოთ გარდაქმნა, ნაწევრებზედ მოქმედებანი კი უფრო რთულის წესით სწარმოებს, და ამისთვის შეუძლებელია ჯერ ნაწევრები გავიაროთ, შემდეგ კი რთული სხეულდებული რიცხვები. იმ ქვეყნებში, სადაც მეტრიული სისტემაა მიღებული ეს ნაწილი არითმეტიკისა აღარ არსებობს; ჩვენში კი ჩვენი საზომ-საწონ-საწყაოთა ფულის მერყეობის გამო ეს ნაწილი არითმეტიკისა ესეთ სიძნელეს წარმოადგენ, რომ აღარც იცით საით წავიღოთ იგი. ჩვენის აზრით ეს ნაწილი არითმეტიკისა უნდა ისწავლებოდეს განყენებულ რიცხვების შემდეგ. მხოლოდ რთული სახელდებული რიცხვები უნდა რაც შეიძლება გავამარტივოთ. რა საჭიროა ხუთ ან ექვს წოდებიანი რიცხვები, მაგ. 5 მილი 1 ვერსი 15 საჟ. 1 არშ. (ამოც. № 701) ვინ ანგარიშობს მილებთან (ქართველებმა არც კი იციან რა არის მილი, ეს ზომა არ იხმარება) არშინებს. ან თუნდა ამისთანა რიცხვი 25 ფუთი 34 გ. 29 ლოტ. 2 მისხალი (ამოც. № 709) ფუთებთან მისხლებს ვინ ანგარიშს. სად გაგონილა, რომ კაცმა სთქვას, მე ვიყიდე 5 ფუთი და 1 მისხალი ფქვილიო. ამისთანა რიცხვებს მხოლოდ არითმეტიკულ კრებულში (და ისიც ძველებში) თუ შეხვდება კაცი. საჭიროა რთული სახელდებული რიცხვები გავამარტივოთ, დავანარჩუნოთ ორი, ან თუ ძალიან გაჭირდა, სამ სახელწოდებიანი რიცხვები. დრო არის არითმეტიკა ცხოვრებას დაუახლოვოთ, და მაშინ აღარ იქნება კვლევა-ძიება, თუ რა ადგილას მოვათავსოთ რთული სახელწოდებული რიცხვები, მანამდე მეტრიულ საზომებსაც შემოვიღებთ, და ეს ნაწილი არითმეტიკისა სრულიად გაქრება.

ეხლა კი თვით კრებულის განხილვას შევუდგეთ. პირველად ყოვლისა მიგვაქცევ ყურადღებას მე-6 და მე 8-ე გვერდზე მოთავსებულ „ცხრილს". ეს მართლაც ცხრილს უნდა ჰგვანდეს, ამისთვის იგი უჯრებად უნდა იყოს დაყოფილი მიმატებაში და გამოკლებაში რიცხვითი მაგალითები ძალიან ღარიბია. ცხრა-ნიშნოვან და ათ-ნიშნოვან რიცხვებზედ ვარჯიშობა საჭირო არ არის. ხუთ-ნიშნოვანი მაგალითებიც საკმარისად ცხად-ჰყოფენ მიმატება-გამოკლების წესებს, ხუთ-არშინიანი რიცხვები კი მოსაბეზრებელნი არიან. გამოკლების დროს არ არის თანდათანობა დაცული, გამრავლებას შვიდი მომენტი აქვს, და ყველა მომენტზედ საკმაო სავარჯიშოები უნდა იყოს. აი ეს მომენტებიც მაგალითებით:

1-ლი 10. 3; 3, 10 და სხვ.; მე-2. 40. 3:×3. 40 და სხ.; მე-3. 325. 5; 5. 325 და სხვა; მე-4. 10 10; 10. 100 და სხვ. მე-5. 40. 10,×10. 40 და სხ მე-6. 40. 30; 700. 300; და სხ. მე-7. 847. 392 და სხ. პირველი და მეორე მაგალითი მოსამზადებელი საფეხურია მრავალ-ნიშნიან რიცხვის ერთ-ნიშნიანზედ გასამრავლებლად. მეოთხე მაგალითიდან კი იწყობა მოსამზადებელი საფეხურები მრავალ-ნიშნიან რიცხვის მრავალ-ნიშნიანზედ გასამრავლებლად. წიგნში ეს თანდათანობა არ არის დაცული.

აქ მინდა აღვნიშნო ერთი ნაკლი ამ კრებულისა ფრჩხილების ხმარების დროს. მათემატიკაში მიღებულია მოქმედებათა წარმოების ჩვეულებრივი რიგი, რომელიც შესდგება იმაში, რომ თუ გვაქვს მოცემული არითმეტიკული გამოთქმა უფრჩხილებოთ, ჩვენ ჯერ უნდა ვაწარმოვოთ ხარისხად აყვანა, შემდეგ გამრავლება ან გაყოფა და ბოლოს მიმატება ან გამოკლება მაგ. $2.12-6:3^2$; და თუ ჩვენ ამ მოქმედებათა ჩვეულებრივ რიგს ვარღვევთ, მაშინ ვხმარობთ ფრჩხილებს $(5+3).2$ აქ ჯერ შეერთება უნდა ვაწარმოვოთ და შემდეგ კი გამრავლება. სადაც მოქმედებათა ჩვეულებრივი რიგი არ ირღვევა იქ ფრჩხილები საჭირო არ არის. და თუ ფრჩხილები მაინც სხედან ეს არითმეტიკულ გამოთქმების მართლწერისთვის ძალიან დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, ამისთვის მაგ. 203 №-ში და სხვ. ფრჩხილების ხმარება შეცდომაა, მოქმედებათა წარმოების ჩვეულებრივი რიგი დარღვეული არ არის და ფრჩხილებიც ზედმეტია.

რთულ სახელდებულ რიცხვებზედ მაგალითები, როგორც წინა მქონდა ნახსენები არ გვარგანან, საჭიროა მათი გამარტივება. საზოგადოთ კრებულში ამოცანები მარტივნი არიან, ენაც კარგია. ზოგ პროვინციალიზმებს აღარ შევხვდებით. წიგნს ბოლოში დართული აქვს მეთოდიური ნაწილი, სადაც ნაჩვენებია ანალიტიურ წესით ამოცანების გადაწყვეტა. მოცემული გვაქვს პაწია ამოცანა, რომელიც სულ ორი კითხვით გადაწყდება, და რა საჭიროა იმოდენი დროის დაკარგვა, რაც ეს ანალიზსინტეზს მოუნდება, და ბავშვებსაც თავ ბრუს დაახვევს. სინტეტიურად ამოცანების გადაწყვეტა ბუნებრივიც არის, საადვილოც, და ბავშვის განვითარებისათვისაც სასარგებლო; მასწავლებლებს არ ვურჩევდი ძვირფასი დროის დაკარგვას უსარგებლო ანალიზისათვის.

სხვაფრივ ეს კრებული სკოლებისათვის სასარგებლო კრებულად უნდა ჩაითვალოს.

გიორგი ზურაბულაძე,

თბილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენელთა მისამართები

1) ინგლისის მთავარი შტაბი.—რეტიშჩევის ქ. № 7.

2) ფრანგულ მისიის უფროსი პოლკ. მარტინი—პეტრე დიდის ქ. № 3

3) შვეიცარული საელჩო ბებუთოვის ქ. 15.

4) ფრანგული მისიისა—პანასევიჩის ქუჩ. 3.

5) პოლონეთის სამეფო წარმომადგენელი—მადათოვის ქ. 1.

6) ლიტვის წარმომადგენელი კირშეს ქ. 45.

7) აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი, კანცელარია—დავითის ქ. 5

8) უკრაინული მისსია,—ვერის დაღმართი 3

9) უკრაინის მთავარი ელჩი ლესნიაკი ვერის თავდაღ. 3

10) სპარსეთის მთავარი ელჩი—გუდოვიჩის ქ. 7

11) ესპანური ელჩის ნაცვალი ამალლების ქ. 9

12) შვეიცარიელი საგანგებო დელეგაცია დიდუბე „ფლერის" ვილლა.

13) საბერძნეთის სამეფო ელჩი—სასტუმრო „ბელვიუ"

14) სომხეთის წარმომადგენელი—გოლოვინის პრ. 8

15) ჩეხ-სლოვაკთა ეროვნულ საზო—ბის წარმომადგენელი—ქალთა პირველი გიმნაზია

16) იტალიის წარმომადგენელი—სასტუმრო „ორიანტი".

17) ამერიკული სამხედრო მისსია—სერგიევის ქ. 16

18) ბელგიის ელჩი—ელისაბედის ქუჩ. № 183.

მიმოსვლა სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს. 5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს. 7 წ.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს. 4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს. 56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს. 30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს. —
ფოთიდან	№ 4	საღ	8 ს. 43 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს. 10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს. 30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს. 06 წ.

თბილისი-სიღნაღი

გადის სიღნაღში

№ 8	საღამოს	6 ს. 5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს. 32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს. 50 წ.

მოდის სიღნაღიდან.

№ 3	დილის	7 ს. 27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს. 5 წ.
№ 7	დილის	11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63	შუადღის	2 ს. 40 წ.
№ 61	დილის	7 ს. 52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს. 26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს. 30 წ.
№ 62	დილ.	11 ს. 24 წ.
№ 64	საღ.	8 ს. 4 წ.

თბილისი-ხანაინი

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63 64 იმოძრავებენ თბილისსა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. ტყეშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

გ. გ. მუგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და [illegible] სხივების [illegible] კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძე
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

17.

შეაფიქრიანა გარემოებათა მსვლელობამ სჯულისა თუ ქრისტიანულს წესრიგისათვის თავდადებულნი, რომელნიც ძლიერ ისწრაფოდნენ დაემყარებინათ ქვეყანაზედ ზნე ზეციური. ახ, ეს შესაძლო არის მხოლოდ უხორცოთა ძალთათვის, ან იმ იშვიათთათვის, რომელთ განუძარცვიათ ხორციო ბრწნადი და შეუმოსიათ ხორცი სულიერი, ჰაეროვანი, ბნელ ნივთიერებისაგან გაძარცვილი, მის მძიმე თვისებათაგან თავისუფალი. მიხვდნენ ღვთის მსახურებაც სასტიკად [illegible], რომ ცოდვათა სიმრავლით შემძიმებულ ქვეყანაზედ მყის ვერ დამკვიდრდების ცხოვრება ნივთიერთა სწრაფვათა სავსებით უარმყოფელი; შეიგნეს, რომ ამ შემთხვევაში მათ ზედმეტი იტვირთეს, უფრო მეტი, სანამ იესომ, რომელმა აუკრძალა მოწაფეებს, გადმოევლინათ ცეცხლი ციური; რომელმა გაანთავისუფლა მეძავი განწირული. შეკრთნენ კიდეც, როცა ჰნახეს, როგორი დაახლოვებოდნენ მკაცრ წინასწარმეტყველებს სასტიკს ილიასი, რომლები, ბოროტი ღიმით ბაგეზედ, თითონ დაკლავდნენ მსახურებს ბაალისა. ამისთანა ფიქრებმა შეაღეს გულფიცხელ მოღვაწეების გრძნობის კარები, მაგრამ ეს მათი ეჭვი არ გაძლიერებულა ისე, რომ სამოქმედო ძალა მისცემოდა იმას და...

და პატიმარი სათნო-სახიერი ისევ შავ კუბოში იჯდა შავად მოსილი, ხოლო გული მეფისა იგლოვდა სატრფოს ცოცხლივ დამარხულს.

თუმცა აღარც ძალიან საჭირო იყო ეხლა განდეგილებს თითონვე გაეხსნათ ჯაჭვები მძიმენი, რომლებიც მოსჯდომოდნენ შუქურს მშვენიერს: ცხოვრების ძალა თითონ მოდიოდა მძლედ, რომ გადაელახა ზღუდე უხეში და დაეხსნა ტყვეობისაგან სატრფო მეფისა. ეს აღინიშნა მონასტრის კრებულს. მონაზონები ჩვეულნი არ იყვნენ, გარეშე ძალა შეჭრილიყო იმათ ცხოვრებაში და შეეცვალა ის თუნდაც რომ მცირედ, გინდ ქრთილის ოდნად. მსოფლად მყოფნი მიეახლებოდნენ იმათ სავანეს მხოლოდ ლოცვისათვის, სასოებით მსხვერპლით შეწირვისათვის. მონასტრის შინაური წესი და ცხოვრება ხელშეუხებელი იყო სხვათაგან, მთლად შეურყეველი, ვით განსაზღვრული დენა ცის მნათობისა. ამ საკვირველ წესების უკლებლივ ამსრულებელნი აქამდისინ განცვიფრებას და იწვევდნენ გარეშეთაგან, პატივისცემას. ეხლა გარეშენი თითქო სწუნობდნენ მათ წყობილებას და, დახე! ხელიც გაეწვდილი ჰქონდათ წმიდა სავანისაკენ მის ცხოვრების დასარღვევად, მძლავრი მარჯვენა.

— უნდა გაიყვანონ შუქია, უკვე ერთიდათაგანი ქრისტეს მიერ. სამოთხიდან გაყვანა იქ დამკვიდრებულისა?! არ ეგების! არ არის გზა ედემით ქვეყნად, მონასტრიდან სოფელსაკენ!

ღელავდა გული მონაზონებისა, იფურტკნებოდნენ მათი ფიქრები, მწყობრ დენას ჩვეულნი გაუდიმებელს. ვერ შეჰრიგებოდა ახალ მოვლენას ნების ყოფა მათი ერთს სავალზედ შარად მავალი.

ეს აღინიშნა წინამძღვარს, მის ხელთ ქვეშ შეკრებილ მწირთ ქრისტეს მიერ. პირად ცხოვრების სასტიკად მიმართვაში, რკინის კვერთხით სამწყსოის მწყსაში, შეურყეველ უფლებამოსილობაში სავანის კედლებთა შუა, სად უკლებლივ სრულდებოდა ნება მისი, წინამძღვარი ჩვეული იყო საქმეთა განგებას დაუბრკოლებლივ. დიდად გაჰკვირდებოდა, თუ მის საბრძანებელში გამოჩენილიყო თუ ნიშანი უარყოფისა. კრებულთა შორის, უსმენლობის რაიმე ნასახი ეხლა კი იღლვოდა მისი ნება, მცნებისაებრ უფლისა მიმართული მისი სურვილი. ხორციელი ხელი შეჭრილიყო წმიდათა წმიდაში, რომ გაეყვანა იქიდან ცოდვათა მქმნელი მეძავი დიდი, თვით ბილწებული მეძავად ქმნილი სატფურნებელთა ძლიერთა მათ ამა ქვეყნისა.

— უშუქროდ არა სჭრისო ხმალი მეფისა, უმისოდ უსუსურს ჰგავსო აშოტ ბაგრატიონი, უბრალო რამ ძელს ცხოვრების ტალღებზედ უაზროდ მოძრავს. მოგვეცი ქალი, თუ არა მტერი წაგვლეკავს ყველას, ძირიანად აღმოფხვრის საქრისტიანოსაო...

საკვირველნი არიან საქმენი შენნი, უფალო! ვერ მისწვდება გონება ჩემი განგებას შენსა შორს გამჭვრეტელსა. რად უტევებ სატანას, ცუდლის გულსა მეფისას; რად ინებებ, ძლევამოსილ იქმნეს უკეთურება; რად დაითმენ, რომ არღვევდნენ ძალნი. ჯოჯოხეთისანი საყდარსა შენსა კლდეზედ მყარებულს?! ნუ იქმნებიან, უფალო, ესე, თუმცა იქმნებიან!

შემძიმებულიყო ლოცვა განდეგილისა, ვერღა ვიღოდა საყდრად მაღლისა. მისთვის და ელოდა მის ვედრების ფრთა, რომ იმის მისწრაფებაში მეფის შესახებ რეული იყო ნივთთა თვისება ბნელი და მძიმე: ნასახი იმ თვითმოყვარებისა თუ გამოჩინებისა, რომელმან დასცა თვითონ სატანაი. იქნება ისიც უმძავებდა ფრთებს ლოცვას მწირისას, რომ გადაელახა მას საშინელი ძნელი შესამჩნევი, რომლის იქით მძიმდება ულელი ტკბილის იესოსი და გარდიქმნება მძიმის ჯვარად.

განა ყველას შეუძლიან ზიდოს ჯვარი იგი გოლგოთისა, თუნდ სხვის დახმარებით! ტვირთმძიმენი მიისწრაფიან იესოსადმი სახიერისა, რომ შეუნდოს მათ, ღირს ჰყოს ზეიმს საქორწინოსა თვით უფლისნიცა. ნუ შეიძმიმებ, საყვარელო, ისეც ტვირთმძიმეს, მიწამდინ დახრილს! ხელი უბყარ მას და აღადგინე! სახიერება შენი გულს მოულბობს მას და მოგენდობა, აასრულებს ყველას, რას ეტყვი სიღრმიდან მოყვარულის გულისა. განდიდე სიმკაცრე გარდარეული! იგი გულფიცხელი მყოფს ადამიანს, განაძევებს მისგან ყოველ სიყვარულს. გულმშრალი ძალა მხოლოდ გადასტეხს სხვის ნებისყოფას, დაჰიმონებს მას, გარნა, ახ, არ მიიღებს იესოსაგან ტკბილისა არც დამინებული, არც დამმონებელი. ჰბაძავდე მას, ემზგავსებოდე!

ვეღარ მძლეობდა ძალა სასტიკი და მტკიცედ დაცულ სავანეი შეეშუქობინა მზეს ცხოვრებისას. სიხარული შეჰყოლოდა მის სხივს, გაეღიმებინა სენაკი ბნელი, ტანცვის სადგური.

— იმ, რა მშვენიერი ყვავილი მოგიტანია!

— შენთვის მოვიტანე, ჩემო მშვენიერო: ყვავილით ხელში რასმე გახარებ.

— კიდეც იმიტომ გიღიმის პირი ახლად გაღებულ კოკორისავით. რა უნდა მახარო გაუხარებელს?

— ეხლავე გეტყვი! ჯერ გარდაგიკოკოცნო ბროლის ყელ-ყური, ციაგთა მფენნი თვალნი ლამაზნი, მიუგო თემისტომ და მოიხვია ქალს.

— მითხარი!

— არკი გამცე! მითომ არაფერი იცი.

— გამცე? რა არის ისეთი?

— შენი სიხარული! მიუგო მონაზონმა

და უამბო მას დაწვრილებით წინანდელი ამბავი, აშოტი რომ მივიდა საყდარში მის წასაყვანად ყველაფერი მიუთხრა.

— ბრძენი კაცია აშოტი, გამოცდილი და ისე უბრყვილო მიზეზი როგორ? რა სთქვა, ძვირფასი პურპელი გვაკლია. ვინ დაუჯერებდა?!

— წაყვარებული ბრძენიც ხელია. აკი ერავინ დაუჯერა.

— როგორ გაბედა თეზრონიამ და ურჯულო უწოდა ხმლით სჯულის დამცველს?!

— გაბედა! შიშით მთლად გავქრით: რისხვას ველოდით. სევდამ სასოწარკვეთილობაში ჩაგვდო ვეკეცი, მთლად მოვდუნე.

— ნამდვილი სთქვა, ნეტა ცოცხალი არ ვიყოვო!

— აი ამ ყურებით გავიგონე, ჩემო ძვირფასო!

— სწორედ ანგელოსი ხარ ჩემი მახარებელი!

— მეტს გახარებ: ეხლა საყდარში გადაწყდა ხმა, შუქური უნდა წაიყვანონო სასახლეში. მოართმევენ ტრახტრევანს და დიდებით წაბრძანებენო, როგორც დედოფალს. ესეთიაო მთელი ხალხის ნება, დიდისა თუ პატარისა. ნამდვილია ეს ხმა.

— უჰ, წარმოსთქვა ქალმა და სიხარულის ცრემლით ჩაკეცა იგი ადგილობრივ. თემისტომ კი ჰნით მოსულიერა სიამით გულშემოყრილი

— როდის, ქალოჯან?

— ამ დღეებში. მალე, ძალიან მალე, იქნებ დღეს-ხვალ. არ კი დაიჯერო, გენაცვალე!

— გული ვერ იგიწყებს თავდადებით მოყვარულს, სიხარულის მომტანს, სიცოცხლეზე უტკბესს!

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.